# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 დეკემბერი 2005 №293 (2616) ფასი 50 თეთრი


## რას იტყვიან ალმასკომზე?

ვალერი ჩოლარია სიტყვის უფლებას ითხოვს

2



## პლეი ოფის რვეულები

უეფამ საქართველო მეოთხე კალათაში ჩასვა

3




## კანდელი ზურაბ საკანდელიძისა

14

# ჩვენი სული, ტოპ!




# საქართველო თუ კიოლნი: დღეს კლაუს ტოპმიოლერი ბოლო პასუხს იტყვის

კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საბოლოო პასუხს ოთხ დღეში ეტყვის. იმის შანსი, რომ 26 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰერ კლაუსი ფაქტობრივად საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში გაემგზავროს, სავსებით რეალურია. გუშინწინ, გვიან საღამოს, მან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მიიღო ფაქსი, რომელშიც ქართული მხარის შეთავაზება უკვე კონკრეტულად, ციფრებად არის ჩამოწიკწიკებული. ფედერაცია ირწმუნება, გერმანელის თავდაპირველ მოთხოვნასა და ჩვენს გუშინწინდელ შეთავაზებას შორის სხვაობა არც იმდენად დიდია, რომ ტოპმიოლერთან მოლაპარაკების ჩაშლას ფინანსური საკითხი დაედოს სარჩულადო.

კონკურენტები? „კიოლნი“ ტოპმიოლერის პასუხს დღეს ელის, თუმცა, კულუარებიდან შევიტყვეთ, რომ პასუხი უარყოფითი იქნება. გუშინ გერმანულმა მედიამ „ტოპი“ „ვოლფსბურგის“ მწვრთნელობის კანდიდატთა შორისაც მოიხსენია და ვითომ კიდევ ერთი კონკურენტი გამოგვიჩნდა? ნაკლებად სავარაუდოა: თავად ტოპმიოლერმა თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზეც განაცხადა, თურქულ „ტრაბზონს“ ფინანსურად მეტისმეტად მაცდურ წინადადებაზე უარი იმის გამო ვუთხარი, რომ სეზონის მსვლელობისას პრობლემებმიძალებული გუნდის ჩაბარების სურვილი არ მქონდაო...

გუშინ ნოდარ ახალკაცი ორჯერ ესაუბრა კლაუს ტოპმიოლერს. პირველ ჯერზე გერმანელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მუშაობის სურვილი, გვიან ღამით კი ახალკაცი იმ პასუხს შეიტყობდა, რომელსაც ეგებ ამ წუთებში ტოპმიოლერი „კიოლნს“ აძლევს.

# რას იტყვიან ალმასკომში?

ხვალ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომაა, მესამე მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად ნოდარ ახალკაცი აირჩიეს. რაიმე მნიშვნელოვანი ალასკომის დღის წესრიგში არ წერია — ისაუბრებენ ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მიმდინარეობაზე, განიხილავენ საორგანიზაციო საკითხებს, სხვადასხვას...

კონკრეტულად კი ალმასკომზე რა უნდა ითქვას, ეს ჯერ თავად ალმასკომის წევრებმაც არ იციან... თუმცა ხვალინდელ ალმასკომზე შესაძლოა დიდი ამბებიც მოხდეს. კერძოდ, სხდომაზე დასწრებისა და სიტყვის უფლებას ფედერაციის ყოფილი გენმდივანი ვალერი ჩოლარია ითხოვს და, როგორც ვიცით, ფედერაციის ხელმძღვანელობის მისამართით საკმაოდ მწვავე განცხადებების გაკეთებას აპირებს.

მკითხაობას ალმასკომის წევრებთან დაკავშირება ვამჯობინეთ და იმ რამდენიმე სავარაუდო თემის ირგვლით დავეკითხეთ, რომელიც მათ ყურადღებას აშკარად იმსახურებს...

## ფაქსი: კლაუს ტოპმიოლერმა თბილისიდან ოფიციალური შეთავაზება მიიღო!



*ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ* ***გოგი ქავთარაძესთან*** *საუბარში, ბუნებრივია, უპირველესი თემა ეროვნული ნაკრები და კლაუს ტოპმიოლერი გახლდათ...*

— ალმასკომის წევრებს მივაწვდით ინფორმაციას ნაკრების მწვრთნელთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. თუმცა ჯერჯერობით არ გვაქვს საფუძველი, ვინმეს დანიშვნაზე ვისაუბროთ.

— როგორც ამ პროცესების უშუალო მონაწილე, რამდენად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი ტოპმიოლერის „გაქართველებასთან“ დაკავშირებით?

— ჩვენს ოპტიმიზმს საკმაოდ რეალური საფუძველი გააჩნია. ახლა მხოლოდ ტოპმიოლერის გადასაწყვეტია, დათანხმდება თუ არა ჩვენს შეთავაზებას და რა პასუხს გასცემს „კიოლნს“. ალბათ, ტოპმიოლერისთვის ფინანსები გადამწყვეტი სულაც არ არის. ნაკრების მწვრთნელობა მისთვის გამოწვევაა, მაგრამ უცხო ქვეყანაში ოთხი წლით გადმობარგება ისეთი საკითხია, სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. დღეს ნოდარ ახალკაცი კიდევ ერთხელ ესაუბრა ტოპმიოლერს და მან გარკვეული დრო მოითხოვა მოსაფიქრებლად.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მან უკვე მიიღო კონკრეტული შეთავაზება?

— წუხელ გავუგზავნეთ ფაქსი ჩვენი პირობებით და იმედი გვაქვს, რომ გადაწყვეტილებას 25 დეკემბრამდე მიიღებს. ეს გაგვიადვილებს ურთიერთობას კატანეცთანაც, რომელიც 26 დეკემბერს უნდა ჩამოვიდეს. კატანეცის საკითხი ან საერთოდ მოიხსნება დღის წესრიგიდან, ანაც უფრო აქტუალური გახდება — ეს ტოპმიოლერის პასუხზეა დამოკიდებული.

— ტოპმიოლერის მოთხოვნასა და ქართულ შეთავაზებას შორის სხვაობა რამდენად დიდია?

— ცა და მიწა ნამდვილად არ არის. ჩვენი შეთავაზება შედეგზეა გათვლილი და, თუ შედეგს მიაღწევს, ტოპმიოლერი დაახლოებით იმდენს მიიღებს, რამდენსაც თავად ითხოვდა.

— ამას გარდა, ალმასკომი ალბათ იმსჯელებს ვალერი ჩოლარიას თხოვნის თაობაზეც. მიზანშეწონილად თვლით თუ არა, რომ მას უნდა მიეცეს ალმასკომზე დასწრების უფლება?

— სიმართლე გითხრათ, არ ვთვლი ამ თემაზე საუბარს საჭიროდ, მაგრამ თუ უმრავლესობა მის საკითხს დადებითად გადაწყვეტს, არც ეს იქნება პრობლემა.

— კიდევ ერთი საკითხი ალექსანდრე ჩივაძისა და ლევან ყიფიანის ალმასკომის წევრობიდან გასვლა იქნება...

— ორივე პიროვნება საკმაოდ ფასეულია ქართული ფეხბურთისთვის და გულდასაწყვეტია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ ალმასკომის შემადგენლობაში ცვლილებები ტრაგედია ნამდვილად არ არის.

— სხდომის დღის წესრიგზე მუშაობისას, რატომ არ მოხდა განსახილველი საკითხების უფრო მეტად დაკონკრეტება?

— ეს არის მუშა სხდომა, სადაც ნებისმიერ მიმდინარე საკითხზე გვექნება საუბარი. ვითარება ყოველდღიურად იცვლება და ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი. რამდენადაც ვიცი, ნოდარ ახალკაცს ხშირი კონტაქტი აქვს ალმასკომის წევრებთან და ისინი ინფორმირებულნი არიან სხდომაზე განსახილველ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

*ამის შემდეგ თავად* ***ლევან ყიფიანსაც*** *დავუკავშირდით, რომელიც ალმასკომის გარდა პროფესიული ფეხბურთის ლიგის საბჭოდანაც აპირებს გასვლას...*

— „ლოკომოტივიდან“ ჩემი წასვლა უშუალო კავშირში ნამდვილად არ არის ალმასკომიდან წამოსვლასთან. არავის ვუპირისპირდები, მაგრამ დღეს შექმნილი ვითარება მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ჩვენი ფეხბურთი არასწორი მიმართულებით მოძრაობს.

ჩემი ხმა ალმასკომში არაფერს წყვეტს და ამან გადამადგმევინა ლოგიკური ნაბიჯი. ვინმესთვის რაიმეს შესწორებას საკუთარ ფუნქციად არ ვთვლი. არადა, იმისთვის, რომ, როგორც ალმასკომის წევრმა ობიექტური გადაწყვეტილება მივიღო, ინფორმაციას მაინც უნდა ვფლობდე. თქვენ, ჟურნალისტებს უფრო მეტი ინფორმაცია გაგაჩნიათ ვიდრე ალმასკომის ბევრ წევრს. სხდომაზე მივდივართ ინფორმაციის გარეშე და შემდეგ ანგარიშის გაწევის თუ ახლობლობის გამო ვიღებთ გარკვეულ გადაწყვეტილებებს. ალმასკომის სხდომაზე მეც დავუჭირე დარსაძის კანდიდატურას მხარი, თუმცა ვთვლი, რომ ეს შეცდომა იყო.

რაც შეეხება ტოპმიოლერის საკითხს, რატომ ფიქრობთ, რომ ის ყველაზე სასურველი ვარიანტია? იმიტომ რომ ტოპ-მწვრთნელია?! მას ეს სანაკრებო ფეხბურთში ჯერ არ დაუმტკიცებია. ვინმემ ხომ უნდა დამარწმუნოს, რატომ ტოპმიოლერი ჯობია და არა ვთქვათ, ნოდარ აკობია? ფაქტობრივად, ჩვენ, ალმასკომის წევრებს, არჩევანის საშუალებაც არ გვაქვს, იმიტომ რომ არ გვაქვს ინფორმაცია.

...როცა ფედერაციაში განცხადება დავტოვე ალმასკომიდან წასვლის შესახებ, ვიღაცას ხომ უნდა ეკითხა, რატომ გადავდგი ეს ნაბიჯი, ხომ უნდა დაინტერესებულიყო, გიჟი ვარ თუ ჭკვიანი?! განვაცხადე კიდეც, რომ საქმიანობა შესაძლოა რუსეთში ან აზერბაიჯანში გავაგრძელო. ჩვენგან განსხვავებით, იმავ აზერბაიჯანში ფულიც აქვთ და ამ ფულს სწორადაც ხარჯავენ. ჩვენთან კი ფეხბურთის დონე არა თუ არ იზრდება, პირიქით, ეცემა.

*აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი* ***მურად ანჯაფარიძე*** *იმავდროულად სფფ-ის ალმასკომის წევრიცაა და გუშინ მისი პოზიციითაც დავინტერესდით...*

— ტოპმიოლერთან მოლაპარაკების პროცესის შესახებ განცხადებას ალმასკომზე თავად პრეზიდენტი გააკეთებს. მე კი ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება გამაჩნია: ქართული ფეხბურთი არ არის მზად უცხოელი მწვრთნელისთვის ორი-სამი მილიონის გადასახდელად. ჯერ ბავშვთა ფეხბურთს და ეროვნულ ჩემპიონატს სჭირდება სათანადო დონეზე მიხედვა და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოჩნდება ნაყოფიერი ნებისმიერი უცხოელი მწვრთნელის საქმიანობა საქართველოში.

...ვფიქრობ, ბატონ ვალერი ჩოლარიას თხოვნის დადებითად გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია. პრობლემა არ იქნება, თუნდაც „სხვადასხვაში“ ამ საკითხის განხილვა.

**გიორგი ნოზაძე**

## ვლადიმერ გუცაევი: დღის წესრიგი მივიღე, ვერაფერი გავიგე

*ალმასკომის წევრი, პარლამენტარი ვლადიმერ გუცაევი სხდომაზე ჩოლარიას დასწრებას აუცილებლადაც კი თვლის და მიაჩნია, რომ მისი გამოსვლა ალმასკომისთვის და საერთოდ, საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება...*



— დიახ, ვალერი ჩოლარიას ალმასკომზე სიტყვის უფლება უნდა ჰქონდეს. ყველამ უნდა იცოდეს, ვინ მართალია და ვინ ტყუის. ვფიქრობ, ჩოლარია ბევრ საინტერესოს იტყვის, რაც სამომავლოდ ქართულ ფეხბურთს წაადგება.

— ჩავთვალოთ, რომ ალმასკომი ჩოლარიას სხდომაზე დასწრების უფლებას მისცემს?

— ყოველ შემთხვევაში, თავად მომხრე ვიქნები, რომ ჩოლარია სხდომას დაესწროს და ილაპარაკოს. როგორც ვიცი, ალმასკომის კიდევ რამდენიმე წევრი ჩემს პოზიციას იზიარებს.

— თუ იცით, რის თქმას აპირებს ჩოლარია?

— არ ვიცი, თუმც მისი მოსმენა თავისთავად საინტერესო უნდა იყოს.

— ალმასკომზე რა საკითხები უნდა განიხილოთ?

— დღის წესრიგი უკვე მივიღე, მაგრამ ვერ გავიგე, ზუსტად რა უნდა განვიხილოთ, კონკრეტულად რა საკითხებია განსახილველი...

— საორგანიზაციო საკითხებში რა იგულისხმება?

— ვერ გეტყვით.

— ნაკრების მწვრთნელის თაობაზე საუბარი არ იქნება?

— როგორ გითხრათ, კარგი იქნება, თუ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ. ყოველ შემთხვევაში, მსურს, ალმასკომზე ნაკრების შესაძლო მწვრთნელებზე დეტალური ინფორმაცია მივიღო.

— და რას იტყვით კანდიდატებზე?

— მე ჩემი პოზიცია მაქვს, სრეჩკო კატანეცისკენ ვიხრები. მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებს ეს მწვრთნელი უფრო გამოადგება.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— კატანეცმა უკვე დაამტკიცა, რომ მაღალი დონის სპეციალისტია. მან სრულიად უსახელო სლოვენიის ნაკრები ჯერ ევროპის ჩემპიონატზე ათამაშა, მერე — მსოფლიოზე. თანაც ის ყოფილი სოცქვეყნიდანაა და მენტალურად ჩვენთან უფრო ახლოს იქნება, ვიდრე გერმანელი ტოპმიოლერი. კატანეცს საქართველოს ნაკრებთან არც ენის პრობლემა შეაწუხებს, მეტ-ნაკლებად რუსული მანაც იცის და ჩვენებმაც. აი, რატომ ვფიქრობ, რომ ეროვნული გუნდისთვის სლოვენიელი უფრო მისაღები უნდა იყოს. ტოპმიოლერსა და კატანეცს შორის არჩევანს სლოვენიელზე გავაკეთებდი.

**კობა ინასარიძე**

# ბათუმმა რკინიგზა გაიყვანა
## ონიანები, მახვილაძე, კიდევ და კიდევ...


ოთარ გაბელია

„ლოკომოტივის" დაშლით ხელი მოითბოო, ცოტა უდიერი ფრაზა კი გამოგვდის, მაგრამ რეალურად ასეა: „ბათუმმა" რკინიგზული გუნდიდან სამი წამყვანი ფეხბურთელი გადაიბირა და სამივე მცველი: გიორგი და როინ ონიანები და მიხეილ მახვილაძე. გუშინ „ბათუმის" თავკაცმა ოთარ გაბელიამ გვითხრა, სამივე მათგანთან გავაფორმეთ კონტრაქტიო.

ონიანებიც და მახვილაძეც სწორედ ის მოთამაშეები არიან, რომელთა წყალობით „ლოკომოტივს" დაცვაში ყველაზე ნაკლები პრობლემები ჰქონდა და გოლს იშვიათად უშვებდა. ასე რომ, „ბათუმმა" სოლიდური ძალა შეიმატა, ზღვისპირელთა სატრანსფერო აქტიურობა კი ამით სულაც არ დასრულებულა — გაბელიას თქმით, „ლოკომოტივიდან" კიდევ ერთი-ორი ფეხბურთელის გადაყვანაზეა სერიოზული ლაპარაკი და, წესით, ეს 25 დეკემბრამდე მოხერხდება.

**ილია ნანობაშვილი**



# გოგუა სპარტაკმა დაინახა

**საქართველოს** ნაკრებისა და რუსული „ხიმკის" ნახევარმცველ გოგიტა გოგუას ნალჩიკის „სპარტაკში" გადასვლის შანსი აქვს.

ნალჩიკელები წლეულს პრემიერლიგაში ალზევდნენ და ახლა გაძლიერებაზე ფიქრობენ, „ხიმკი" კი პირიქით, ფაქტობრივად, დაიშალა, ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა და მათ შორის ქართველებმაც. მართალია, გოგიტა გოგუას და გიორგი ლომაიას კლუბთან ურთიერთობა საბოლოოდ არ გაუწყვეტიათ, მაგრამ ახალი გუნდების ძიებაში რომ არიან, ფაქტია.

შეგახსენებთ, რომ გოგუა „ხიმკის" დატოვებას ორიოდ თვის წინაც აპირებდა, როცა გროზნოს „ტერეკის" წინადადება მიიღო, მაგრამ მაშინ ხიმკელებმა დიდი თანხა მოითხოვეს და მოლაპარაკებაც ჩაიშალა...

**კახა შალამბერიძე**

# სიონი გაშვებულებს აბათილებს

**ბოლნისის** „სიონი" ისევ რაიონის გამგეობის იმედზეა. კომპანია „პრომინვესტმა" „მადნეულის" პაკეტი 15 დეკემბერს გადაიბარა, თუმცა მათი წარმომადგენლები ბოლნისში ჯერ არ ჩასულან. შესაბამისად, არც პარტნიორთა კრება გაუმართავთ და ის ვალიც, რომელიც „მადნეულის" ძველ ხელმძღვანელობას შემორჩა, ისევ გადასახდელია.

გეცოდინებათ, პირველი წრის შემდეგ „სიონი" გვარიანად შეთხელდა, თუმცა, შევსება არანაკლები იქნებაო, გვითხრა კლუბის დირექტორმა გია აბაზაძემ.

„სიონმა" უკვე შეიმატა ფორვარდი ირაკლი სირბილაძე „ლოკომოტივიდან" და კიდევ სამი ფეხბურთელის გადაყვანა აქვს გადაწყვეტილი — ორი მცველის და ერთი ნახევარმცველის. აბაზაძემ გვარები არ გაგვიმხილა, მაგრამ ის კი გვითხრა, ძლიერი მოთამაშეები არიან, კონტრაქტს დღე-დღეზე გავუფორმებთ და დაახლოებით ხუთ დღეში „სიონის" სამეორეწრეო შემადგენლობა უკვე გვეცოდინებაო.

„დიდხანს არ დავაყოვნებთ, გუნდის დაკომპლექტება 25 დეკემბერს თითქმის მთლიანად დასრულდება. შესაძლოა, იანვრიდან ერთი ან ორი მოთამაშელა შევიძინოთ" — გვითხრა აბაზაძემ.

რაც შეეხება თბილისის „დინამოში" დაბრუნებულ ბოლნისურ ოთხეულს (ჯაბა დვალი, ლევან ხმალაძე, გიორგი ქუცურუა, გიორგი კვიტაიშვილი), ქვემოქართლელები კახა ცხადაძის სიტყვაზე არიან დამოკიდებულნი. „დინამო" უკვე შეიკრიბა და გია აბაზაძემ გვითხრა, 25 დეკემბერს გვეტყვიან პასუხს, რომელ ფეხბურთელს დაიტოვებენ და რომელს დაგვითმობენო. „სიონს" ამ ოთხეულიდან განსაკუთრებით ჯაბა დვალი და ლევან ხმალაძე სურს...

ბოლოს ერთიც: როგორც შევიტყვეთ, ზემოთ ნახსენებ შესაძენ ფეხბურთელებში ბათუმელი ნიკა გუშარაშვილი და ლოკომოტიველი ლაშა ქებაძე იგულისხმებიან.

**ილია ნანობაშვილი**

# კატეგორია A

**26 დეკემბრიდან** საქართველოს ნაკრების ბაზაზე ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორისა და მწვრთნელთა განათლების ხელმძღვანელის გაიოზ დარსაძის თაოსნობით A კატეგორიის სალიცენზიო კურსები იწყება.

მსგავსი რამ საქართველოსთვის უჩვეულოა, რადგან ფედერაციამ სულ ახლახან მიიღო A ლიცენზიის გაცემის უფლება.

ცნობისთვის: A ლიცენზიის მისაღებად კურსებში მონაწილეობა შეუძლიათ იმ მწვრთნელებს, რომელთაც B კატეგორიის აღების შემდეგ სულ მცირე ერთწლიანი მუშაობის სტაჟი აქვთ.

გაიოზ დარსაძის ინიციატივით, ქართველ მწვრთნელებს ლექციებს უცხოელი სპეციალისტებიც ჩაუტარებენ.

**კახა შალამბერიძე**

# პლეი ოფის რვეულები
## უეფამ საქართველო მეოთხე კალათაში ჩასვა

მალტა, ესტონეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სან მარინო, ლუქსემბურგი, ანდორა, ლიხტენშტაინი — ამათგან ერთ-ერთი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პირველი მეტოქე იქნება ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

უეფამ შესარჩევი ციკლის მონაწილეები კალათებში გაანაწილა, წილისყრა კი 27 იანვარს შვეიცარიულ მონტრეში ჩატარდება.

მოგეხსენებათ, 21-წლამდელების ნაკრებთა შესარჩევი ეტაპი ახლებური სისტემით ტარდება — უმდაბლესი რეიტინგის მქონე 16 გუნდი (მეოთხე-მეხუთე კალათები) ერთმანეთს პლეი ოფში შეხვდება, საუკეთესოები დარჩენილ 34 ნაკრებს შეუერთდებიან და სულ მოგროვდება 42 გუნდი, რომლებიც 14 სამ-სამგუნდიან ჯგუფში განაწილდებიან.

მოკლედ, საქართველო ციკლს პირველივე პლეი ოფიდან იწყებს: ზემოთ ჩამოთვლილ ნაკრებთაგან ერთ-ერთს ჩვენები გაის მარტიდან 15 ივლისამდე შინ და სტუმრად უნდა შეხვდნენ.

უეფას გადაწყვეტილებით, შესარჩევ ეტაპზე თამაშის უფლება აქვთ 1984 და მომდევნო წლებში დაბადებულებს.

**კახა შალამბერიძე**


კობა ჟორჟიკაშვილის ბიჭებს სავარაუდო მეტოქეები დაუდგინეს

**პირველი კალათა**
პორტუგალია
საფრანგეთი
იტალია
დანია
გერმანია
სერბეთი
ხორვატია
ჩეხეთი
ესპანეთი
ბელგია
შვეიცარია
თურქეთი
რუსეთი
ნორვეგია

**მეორე კალათა**
პოლონეთი
ინგლისი
შვედეთი
უნგრეთი
ბელარუსი
უკრაინა
საბერძნეთი
ისრაელი
რუმინეთი
სლოვაკეთი
სლოვენია
ბოსნია
ავსტრია
ლიტვა

**მესამე კალათა**
შოტლანდია
ლატვია
ბულგარეთი
ფინეთი
კვიპროსი
ალბანეთი
*პლუს რვა გუნდი*
*საკვალიფიკაციო*
*პლეი ოფიდან*

**მეოთხე კალათა**
უელსი
ისლანდია
ირლანდია
საქართველო
მოლდოვა
მაკედონია
სომხეთი
ჩრდ. ირლანდია

**მეხუთე კალათა**
მალტა
ესტონეთი
ყაზახეთი
აზერბაიჯანი
სან მარინო
ლუქსემბურგი
ანდორა
ლიხტენშტაინი



ვიტელთა ლიდერი და პირველი წრის ბომბარდირი ოთარ მარცვალაძე



დავით იმედაშვილის (№2) „ვიტ ჯორჯიამ“ ლაშა ნოზაძის „დინამოსთან“ პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა

ვიტ ჯორჯია

# არ გვაქვს ბაზა, მაგრამ ვებრძვით დინამოს

**შემოდგომის** ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ჩემპიონი ერთხელ უკვე იყო — 2003-04 წლების სეზონში პირველად და ჯერჯერობით ბოლოჯერ გახდა ჩემპიონი. ამით იმის თქმა გვსურს, რომ „ვიტ ჯორჯიას“, როგორც გუნდს და კლუბს, აქვს საჩემპიონო გამოცდილება, იცის, თუ როგორ გახდეს პირველი.

„ვიტ ჯორჯია“ არის კლუბი, რომელსაც თავისი მკვეთრი ხელწერა გააჩნია — ძირითადად ეყრდნობა საკუთარ კადრებს, ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის სულ მოწინავეთა შორისაა, სარფიანად ასხვისებს ფეხბურთელებს და, როგორც მისმა პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ გვითხრა, კლუბის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება.

...მას შემდეგ, რაც ქუთაისის „ტორპედოს“ მყარი ფინანსური ზურგი გამოეცალა, ჩვენს ჩემპიონატში ახალი დიდი დაპირისპირება წარმოიშვა: „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“.

ბოლო წლებში „ვიტ ჯორჯია“ მართლაც ძალიან უხერხული მეტოქეა დინამოელთათვის, მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში ვიტელებმა შინ 1:0 დაამარცხეს „დინამო“ და იმასაც შეგახსენებთ, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ პირველ წრეში ამ ჩემპიონატის ექვსივე მოწინავე გუნდს მოუგო — „დინამოს“ გარდა „სიონს“, „ლოკომოტივს“, „ბორჯომს“, „ამერს“ და „ზესტაფონს“.

„ვიტ ჯორჯიას“ არა აქვს ბაზა, სადაც დაბინავდება, გამოიკვებება, დაისვენებს, სატრენაჟორო დარბაზში შევა და ორჯერად ვარჯიშებს გამართავს. ამიტომაცაა, რომ ბევრი ამ სეზონში „დინამოს“ საჩემპიონო შანსებს უფრო დიდად აფასებს, ვიდრე „ვიტ ჯორჯიასას“.

მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ „დინამოს“ უკეთესი საჩემპიონო შანს აქვს, ვიდრე „ვიტ ჯორჯიას“ — მიმდინარე ჩემპიონატის მთავარმეგოლე ოთარ მარცვალაძემ შესაძლოა „ვიტ ჯორჯია“ დატოვოს და კიევის „დინამოში“ ან რომელიმე სხვა უცხოურ კლუბში გადავიდეს.

ისიც ფაქტია, რომ პირველი წრის ბოლოს კახა ცხადაძის „დინამომ“ თამაში მკვეთრად გამოასწორა და მეორე წრეში ალბათ უფრო ლონივრადაც წარმოაჩენს თავს.

თუ „ვიტ ჯოჯია“ „დინამოს“ არ აძლევს მშვიდი ცხოვრების საშუალებას, თვითონ ვიტელები არაერთხელ გაუმწარებია ფოთის „კოლხეთს“ და ასე მოხდა მეჩვიდმეტე ეროვნულის პირველ ტურშიც — ვიტელები ფოთში 0:1 დამარცხდნენ და მას აქეთ აღარ წაუგიათ — მესამე ტურიდან „ვიტ ჯორჯიამ“ ზედიზედ ცხრა მატჩი მოიგო და მეთორმეტე ტურში ქუთაისის „ტორპედოსთან“ სტუმრად დამუხრუჭდა — 2:2, ხოლო პირველი წრის ბოლო შეხვედრაში მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა შინ „ბათუმთან“.

...გადავა თუ არა მარცვალაძე კიევურ „დინამოში“, იანვრის შუა რიცხვებისთვის გაირკვევა. მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ მხოლოდ მარცვალაძე როდია — კარს საიმედოდ იცავს გრიგოლ ბედიაშვილი, დაცვის ბურჯი გამოცდილი თენგიზ კობიაშვილია და გვერდში სატრანსფეროდ საინტერესო მცველებიც ჰყავს: დავით ლომაია და დავით იმედაშვილი; „ვიტ ჯორჯიას“ ჯენარო გატუზოა პავლე დათუნაიშვილი და მისი ძმა გიორგიც საინტერესო მოთამაშე ჩანს; ნახევარდაცვაში არიან გამოცდილი დავით დიღმელაშვილი და ახალგაზრდა გიორგი ფეიქრიშვილი, ხოლო თავდასხმაში მარცვალაძის გარდა კარგად წარმოაჩინეს თავი ნიკა გელაშვილმა და ზაზა სახოკიამ. ერთი სიტყვით, „ვიტ ჯორჯია“ მოთამაშეთა შერჩევითაც მოიწონებს თავს და კოლექტიური თამაშითაც.

ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის წამყვანი, გამოცდილი ფეხბურთელებისგან დაცლილი „ლოკომოტივი“ მაღალი მიზნებისთვის ველარ იბრძოლებს, დღევანდელი გადასახედიდან იგივე ბედი ელის „სიონსაც“ და ასპარეზი ოთხ გუნდს რჩება — „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, ამერი“ და „ზესტაფონი“ — ამ ოთხეულიდან ვის უკეთესი შანსი ექნება, პროგნოზირება ნაადრევია, რადგან სატრანსფერო მიდი-მოდი მთელი სიმძლავრით ჯერ არ გახურებულა.

ნესტორ მუმლაძის გაწვრთნილი „ვიტ ჯორჯია“ კი ჯერჯერობით კუნძივითაა, მისი გამპობელი გუნდი პირველ წრეში არ ყოფილა.

**დავით თავართქილაძე**

**პირველი ტური**
30 ივლისი, შაბათი
კოლხეთი 1:0 ვიტ ჯორჯია

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
ვიტ ჯორჯია 2:2 სოხუმი

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
კახეთი 0:1 ვიტ ჯორჯია

**მეოთხე ტური**
28 აგვისტო, კვირა
ვიტ ჯორჯია 2:1 თბილისი

**მეხუთე ტური**
10 სექტემბერი, შაბათი
ზესტაფონი 0:4 ვიტ ჯორჯია

**მეექვსე ტური**
18 სექტემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 1:0 დინამო

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
ცხინვალი 0:3 ვიტ ჯორჯია

**მერვე ტური**
30 სექტემბერი, პარასკევი
ამერი 1:2 ვიტ ჯორჯია

**მეცხრე ტური**
16 ოქტომბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 4:0 ბორჯომი

**მეათე ტური**
23 ოქტომბერი, კვირა
სპარტაკი 1:4 ვიტ ჯორჯია

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 2:1 სიონი

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
ტორპედო 2:2 ვიტ ჯორჯია

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 2:0 ლოკომოტივი

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
დილა 1:3 ვიტ ჯორჯია

**მეთხუთმეტე ტური**
26 ნოემბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი






ოთარ მარცვალაძე

მეგოლეები
14 — ოთარ მარცვალაძე
4 — ნიკა გელაშვილი
3 — დავით იმედაშვილი
გიორგი ფეიქრიშვილი
2 — გიორგი დათუნაიშვილი
ზაზა სახოკია
1 — პავლე დათუნაიშვილი
თენგიზ კობიაშვილი
ლაშა მანწკავა
დავით დიღმელაშვილი

**ვიტ ჯორჯია პირველ წრეში**
15 თამაში, 11 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება, ბურთები 32:10, 36 ქულა

# FIFA WORLD PLAYER 2005





AFP

რონალდინიო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს არც სამუელ ეტოოსთვის დაიშურებდა და არც ფრენკ ლამპარდისთვის

# რონალდინიო: ციურიხში კიდევ ჩავალ

**წლების წინ, ბრაზილიური პორტუ ალეგრეს ქუჩებში მობურთავე ბიჭუნა ალბათ ძნელად თუ წარმოიდგენდა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ზედიზედ ორჯერ რომ დაასახელებდნენ. შარშან ამ საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლაში რონისთან ტიერი ანრი დამარცხდა, ამჯერად კი მსოფლიოს 203 ქვეყნის ნაკრებების მწვრთნელებმა და კაპიტნებმა „ბარსელონას“ ბრაზილიელი გენიოსი ინგლისელ ფრენკ ლამპარდს და კამერუნელ სამუელ ეტოოს ამჯობინეს. გეხსომებათ, რონალდინიომ ცოტა ხნის წინ „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთიც“ მოიგო. მოკლედ, მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელს კატალონიურმა „სპორტმა“ ინტერვიუ ჩამოართვა, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ**

— თქვენთვის ტიტულის შენარჩუნება რას ნიშნავს?

— ბედნიერი ვარ, როგორც პიროვნება და ფეხბურთელი. ვთვლი, რომ ჩემი შრომა დააფასეს. ბავშვობიდანვე დიდ ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი და ავიხდინე. ზედიზედ ორჯერ საუკეთესოდ დამასახელეს, მეტი რა ვთქვა?

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რონალდინიომ ფეხბურთისადმი ინტერესი დაკარგა?

— არა, რა თქმა უნდა. იმედი მაქვს, ციურიხში კიდევ რამდენჯერმე ჩავალ ჯილდოს მისაღებად. დღევანდელი წარმატება ჩემთვის ფინალს, საბოლოოდ წერტილს არ ნიშნავს, ეს მხოლოდ კარიერის ერთ-ერთი საფეხურია.

— სულ მწვერვალზე ყოფნა თავისებურად ძნელიცაა...

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, ამ სიხარულისთვის ყველას მადლობა ვუთხრა, ზედიზედ ორი სეზონი მაღალი დონის შენარჩუნება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. არავითარ დაღლილობას არ ვგრძნობ და მინდა, ჩემი და „ბარსელონას“ სასიკეთოდ მუდამ გავიმარჯვო.

— „ბარსელონა“ ახსენეთ. ციურიხში თქვენს გარდა ჯილდოს მოგება კატალონიური გრანდის სხვა ფეხბურთელს, სამუელ ეტოოსაც შეეძლო...

— წლეულს ციურიხში ორი ბარსელონელი ვიყავით... კარგი იქნება, გაისად პრეტენდენტების სამეულში სულ ჩვენ თუ აღმოვჩნდებით.

— შარშან ანრი და შევჩენკო დაჯაბნეთ. წლევანდელ კონკურენტებზე, ფრენკ ლამპარდსა და სამუელ ეტოოზე რას გვეტყვით?

— სამუელს რომ გაემარჯვა, ისეთივე ბედნიერი ვიქნებოდი, როგორიც ახლა ვარ. ასევე ლამპარდის ფიესტაც გამახარებდა. ასეთი დიდი ფეხბურთელების გვერდით დაჯილდოების ცერემონიალზე ყოფნაც კი ჩემთვის სავსებით საკმარისია. ეტოო! დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და მიხარია, „ბარსაში“ ჩემი თანაგუნდელი რომაა.

— ფრენკ ლამპარდთან „ჩელსი“ — „ბარსელონას“ მომავალ დუელზე თუ ისაუბრეთ?

— არა, ყველაფერზე ვილაპარაკეთ, ამ მატჩის გარდა. ფრენკის ესპანურმა გამაკვირვა, იგი ესპანურად გაცილებით უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე მე ინგლისურად.

— და მაინც, „ჩელსისთან“ დაპირისპირებაზე რას ფიქრობთ?

— ძალიან მაგარი თამაში იქნება და, როგორც წესი, ამჯერადაც წლის მატჩად გამოაცხადებენ. მეც და ჩემი თანაგუნდელებიც ყველანაირად ვეცდებით, ლონდონელები დავამარცხოთ.

— მაშინ წყვილის ფავორიტიც გვითხარით?

— ორივე გუნდი შესანიშნავ ფორმაშია. „ჩელსი“ ინგლისში მართავს სიტუაციას, ჩვენ კი ესპანურ პრიმერადივიზიონში. ასე რომ, წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია.

— ცხადია, რევანშსაც ისურვებთ...

— არა, უბრალოდ, ახლა ისტორიის შეცვლა გვინდა. შარშან ჩვენ დავმარცხდით, ახლა კი „ჩელსის“ დაცემის დროა. „კამპ ნოუზე“ მხოლოდ მაურინიუს გუნდთან ომზე არ ფიქრობენ, ყველა ჯილდო უნდა მოვიპოვოთ.

— 2006 წლის გერმანიის მუნდიალზე ბრაზილიის ნაკრებს ჩემპიონობის რა შანსები აქვს?

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ჯერ „ბარსასთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონობა, ლიგა და კოპა დელ რეი უნდა მოვიგო, მერე კი მუნდიალსაც მივხედავთ.

— მსოფლიოს საუკეთესოდ რომ გამოგაცხადეს, პირველად ვინ გაგახსენდათ?

— მამაჩემი, ჩემი პატარა ვაჟი, ოჯახი და „ბარსელონა“. რომ არა, „ბარსა“ და ჩემი თანაგუნდელები, ამ ჯილდოს ვერ მოვიგებდი.

## ოქროს ბურთის ლაურეატები 1991-2005

| | | | |
|---|---|---|---|
| 1991 | ჟან პიერ პაპენი | მარსელი | საფრანგეთი |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი | ბარსელონა | ბულგარეთი |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი | ლიბერია |
| 1996 | მათიას ზამერი | დორტმუნდი | გერმანია |
| 1997 | რონალდო | ინტერი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |
| 2001 | მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი |
| 2002 | რონალდო | ინტერი, რეალი | ბრაზილია |
| 2003 | პაველ ნედვედი | იუვენტუსი | ჩეხეთი |
| 2004 | ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა |
| 2005 | რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |

## ფიფას ლაურეატები 1991-2005

| | | | |
|---|---|---|---|
| 1991 | ლოთარ მათეუსი | ინტერი | გერმანია |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | რომარიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი | ლიბერია |
| 1996 | რონალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 1997 | რონალდო | ინტერი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 2001 | ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |
| 2002 | რონალდო | რეალი | ბრაზილია |
| 2003 | ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი |
| 2004 | რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2005 | რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |

# FIFA WORLD PLAYER 2005

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი | კაპიტანი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალბანეთი | ჰანს-პიტერ ბრიგელი | რონალდინიო | ლამპარდი | კაკა | იგლი ტარე | მალდინი | კაკა | რონალდინიო |
| ალჟირი | ილილ ალი მეზიანი | ლამპარდი | ბალაკი | ეტოო | ჰაკემ მეზაირი | ლამპარდი | რონალდინიო | ბალაკი |
| ანდორა | დავიდ როდრიგო | რობენი | შევჩენკო | რონალდინიო | ხუსტო რუისი | ადრიანო | ლამპარდი | ჯერარდი |
| ანგოლა | ბენ დევისი | რონალდინიო | ადრიანო | კ. რონალდო | ??? | ??? | ??? | ??? |
| ანტიგუა და ბარბუდ | ვერონ ედვარდსი | რონალდინიო | შევჩენკო | კაკა | ვერტონ ჰარისი | დროგბა | რონალდინიო | ლამპარდი |
| არგენტინა | ხოსე პეკერმანი | რონალდო | ეტოო | ლამპარდი | ხუან პაბლო სორინი | მალდინი | ჯერარდი | დროგბა |
| ავსტრალია | გუუს ჰიდინკი | რონალდინიო | კაკა | | მარკ ვიდუკა | რონალდინიო | ანრი | შევჩენკო |
| ავსტრია | ვილი რუტენშტაინერი | ბალაკი | იბრაჰიმოვიჩი | რონალდინიო | ანდრეას ივანშიტცი | რონალდინიო | შევჩენკო | ჯერარდი |
| აზერბაიჯანი | ვაგიფ სადიღოვი | რონალდინიო | ჯერარდი | ადრიანო | რაშად სადიგოვი | რონალდინიო | კაკა | შევჩენკო |
| ბაჰამები | გარი უაითი | რონალდინიო | ჯერარდი | მალდინი | კამერონ ჰეპლი | რონალდინიო | რუნი | რობინიო |
| ბანგლადეში | დიეგო კრუსიანი | რონალდინიო | ანრი | რიკელმე | არიფ ხან ჯოი | რონალდო | ანრი | ლამპარდი |
| ბარბადოსი | მარკ დოჰერტი | ჯერარდი | ესიენი | ეტოო | ჯონ ჰარისი | ესიენი | ეტოო | ჯერარდი |
| ბელარუსი | ანატოლი ბაიდაჩნი | შევჩენკო | რონალდინიო | დროგბა | სერგეი შტანიუკი | შევჩენკო | რონალდინიო | ვან ნისტელროი |
| ბელგია | ემე ანტუანესი | რონალდინიო | კაკა | იბრაჰიმოვიჩი | ბარტ გოორი | რონილდინო | ეტოო | იბრაჰიმოვიჩი |
| ბელიზი | იან მორკი | რონალდინიო | მალდინი | შევჩენკო | შეინ ორიო | ეტოო | ანრი | რონალდინიო |
| ბერმუდა | კაილ ლაითბორნი | რონალდინიო | ლამპარდი | ადრიანო | მორის ლოუა | რონალდინიო | ეტოო | ლამპარდი |
| ბუტანი | ჰარი ბასნეტი | ანრი | დროგბა | ჯერარდი | პასანგ ჩერინგი | რონალდო | ანრი | ჯერარდი |
| ბოლივია | ოვიდიო მესა | რონალდინიო | ბექემი | რაული | რონალდ ბალკასარი | რონალდინიო | ბექემი | რაული |
| ბოსნია | ბლაჟ სლიშკოვიჩი | რიკელმე | იბრაჰიმოვიჩი | ლამპარდი | სერგეი ბარბარესი | ბალაკი | რონალდინიო | ნესტა |
| ბოტსვანა | ვესელინ იელუშიჩი | დროგბა | ადრიანო | რონალდინიო | ჩეპისო მოლვანტვა | ეტოო | დროგბა | კაკა |
| ბრაზილია | კარლოს პარიერა | ზიდანი | ვან ნისტელროი | ჯერარდი | კაფუ | კ. რონალდო | ზიდანი | მალდინი |
| ბულგარეთი | ხრისტოს სტოიჩკოვი | რონალდინიო | დეკო | შევჩენკო | სტილიან პეტროვი | ლამპარდი | რონალდინიო | შევჩენკო |
| ბურკინა ფასო | ბერნარდ სიმონდი | ეტოო | რონალდინიო | ლამპარდი | ??? | ??? | ??? | ??? |
| კანადა | ფრენკ იალოპი | ადრიანო | ლამპარდი | რონალდინიო | დუეინ დეროსარიო | ადრიანო | ანრი | რონალდინიო |
| კაბო ვერდე | ალეშანდრე ალჰინიო | ბალაკი | ლამპარდი | რონალდინიო | კლაუდიო აგუარი | ჯერარდი | რონალდინიო | დეკო |
| კაიმანის კუნძულე | მარკოს ტინოკო | რონალდინიო | კაკა | ზიდანი | ფრედერიკ უილკსი | ლამპარდი | რონალდინიო | ზიდანი |
| სომხეთი | ჰენკ ვისმანი | რონალდინიო | ლამპარდი | ანრი | სარკის ჰოვსეფიანი | ადრიანო | ეტოო | დეკო |
| ჩილე | ნელსონ აკოსტა | რონალდინიო | ნედველი | ეტოო | ლუის ფუენტესი | რონალდინიო | ეტოო | ანრი |
| ჩინეთი | ჟუ გუანგჰუ | შევჩენკო | მალდინი | კაკა | ლი ვეიფენგი | შევჩენკო | მალდინი | კაკა |
| კოლუმბია | რეინალდო რუედა | რონალდინიო | ეტოო | ლამპარდი | ივან კორდობა | ლამპარდი | რონალდინიო | მალდინი |
| კომორის კუნძულე | მუჰამედ შაუკი | რონალდინიო | ზიდანი | ბალაკი | სალიჰი მაულიდა | ზიდანი | რონალდო | ლამპარდი |
| კონგო | გასტონ ჩიანგანა | რონალდინიო | დროგბა | ეტოო | ბართოლომეუ ნგატსონრონალდინიო | დროგბა | | ეტოო |
| კუკის კუნძულებ | ტიმ ჯერკსი | რონალდინიო | ანრი | ვან ნისტელროი | იოზეპ ჩენდერსი | ანრი | მალდინი | რონალდინიო |
| კოსტა რიკა | ალეშანდრე გიმარაეში | რონალდინიო | ლამპარდი | ეტოო | ლუის მარინი | რონალდინიო | ადრიან | ეტოო |
| კოტ დივუარი | ანრი მიშელი | რონალდინიო | ლამპარდი | ჯერარდი | სირილ დომორო | რონალდინიო | ანრი | ადრიანო |
| ხორვატია | ზლატკო კრანჩარი | რონალდინიო | რობინიო | კაკა | ნიკო კოვაჩი | ლამპარდი | რონალდინიო | ბუფონი |
| კუბა | უილიამ ბენეტი | რონალდინიო | რონალდო | ეტოო | დანიელ ბენმუდესი | რონალდინიო | რონალდო | კაკა |
| კვიპროსი | ანგელო ანსტასიადისი | რონალდინიო | ეტოო | დროგბა | ნიკოს პანაიოტუ | რონალდინო | ადრიანო | იბრაჰიმოვიჩი |
| ჩეხეთი | კარელ ბრიუკნერი | რონალდინიო | ჯერარდი | ანრი | ტომაშ გალაშეკი | რონანლდინიო | ლამპარდი | ანრი |
| დანია | მორტენ ოლსენი | ადრიანო | იბრაჰიმოვიჩი | რონალდინიო | ტომას ჰელვეგი | რონალდინიო | ლამპარდი | ადრიანო |
| ჯიბუტი | მოჰმედ ომარ ალი | რონალდინიო | ჯერარდი | ადრიანო | ბაიკალ ჰარა | რონალდინიო | ლამპარდი | შევჩენკო |
| დომინიკა | კლიფორდ სილეირი | ბექემი | დეკო | რაული | დელბერტ დეილმი | რონალდინიო | ბექემი | შევჩენკო |
| დომინიკის რ-კა | ხუან მოხიკა | რონალდინიო | ადრიანო | ეტოო | რამონ გარსია | რონალდინიო | ადრიანო | ეტოო |
| ეკვადორი | ლუის სუარესი | ლამპარდი | ეტოო | რობინიო | ივან ურტადო | რონალდინიო | კაფუ | რონალდო |
| ეგვიპტე | ჰასან შეჰატა | რონალდინიო | ანრი | დროგბა | აჰმედ ჰოსამი ნდო | რონალდინიო | ანრი | დროგბა |
| სალვადორი | მიგელ ოვანდო | რონალდინიო | შევჩენკო | ანრი | ვიქტორ ველასკერი | რონალდინიო | ლამპარდი | დროგბა |
| ინგლისი | სვენ გორან ერიქსონი | რონალდინიო | ადრიანო | იბრაჰიმოვიჩი | დევიდ ბექემი | რონალდო | რონალდინიო | იბრაჰიმოვიჩი |
| ეკვატორიული გვინეა | ანტონიო დიუმა | ადრიანო | რონალდო | ვან ნისტელროი | ანხელ ონდო | ადრიანო | ოკოჩა | რიკელმე |
| ერითრეა | ნებაშ ნეგასი | რონანლდინიო | ადრიანო | ლამპარდი | ჰაილე გოიტომი | რონალდინიო | ლამპარდი | კაკა |
| ფარერები | იოგვან ოლსემი | ეტოო | ლამპარდი | ადრიანო | ოლი იოჰანსენი | რონალდინიო | ზიდანი | ლამპარდი |
| ფიჯი | ლი სტერი | დეკო | ეტოო | კაკა | ესალამ მასი | რონალდინიო | რონალდო | ანრი |
| ფინეთი | იურკი ჰელისკოკი | ადრიანო | რონალდინიო | ჯერარდი | სამი ჰიიპია | შევჩენკო | ლამპარდი | რონალდინიო |
| საფრანგეთი | რაიმონ დომენეკი | მალდინი | დროგბა | რუნი | ზინადინ ზიდანი | დროგბა | მალდინი | რაული |
| გაბონი | ნზამბა რაპა | რონალდინიო | ანრი | ეტოო | მსი აჰუე | ანრი | ეტოო | რონალდინიო |
| საქართველო | გაიოზ დარსაძე | რონალდინიო | ჯერარდი | მალდინი | კახა კალაძე | რონალდინიო | შევჩენკო | ლამპარდი |
| გერმანია | იურგენ კლისმანი | ლამპარდი | რონალდინიო | ადრიანო | მიხაელ ბალაკი | კაკა | იბრაჰიმოვიჩი | ეტოო |
| განა | რატომირ დუიკოვიჩი | რონალდინიო | ლამპარდი | დროგბა | ??? | ??? | ??? | ??? |
| საბერძნეთი | ოტო რეჰაგელი | რონალდინიო | ადრიანო | ლამპარდი | თეო ზაგორაკისი | კაკა | ლამპარდი | რონალდინიო |
| გუამი | მორიო ცუკიტატა | ბალაკი | რონალდინიო | ჯარარდი | ??? | ??? | ??? | ??? |
| გვატემალა | რამონ მარადიარა | რონალდინიო | ლამპარდი | კაკა | გონსალო რომერო | რონალდინიო | რიკელმე | ადრიანო |
| გვინია ბისაუ | ბასირო კანდა | რონალდინიო | ეტოო | კ. რონალდო | ბრაიმა ინჟაი | ლამპარდი | ზიდანი | დროგბა |
| ჰონდურასი | ხოსე დე ლა პასი | რონალდინიო | ეტოო | ანრი | ვილმერ ბელასკესი | რონალდო | მალდინი | რიკელმე |
| ჰონგ კონგი | სუნ ჩეუნგ ლაი | ეტოო | რონალდინიო | იბრაჰიმოვიჩი | პეი ტაკ მანი | რონალდინიო | კაკა | შევჩენკო |
| უნგრეთი | ლოთარ მათეუსი | რონალდინიო | ლამპარდი | ადრიანო | ზოლტან გერა | რონალდინიო | ლამპარდი | ჯერარდი |
| ისლანდია | ასგეირ სიგურვინსონი | კაკა | რონალდინიო | ლამპარდი | ეიდურ გუდიონსენი | რონალდინიო | ადრიანო | ლამპარდი |
| ინდოეთი | სიედ ნაემუდინი | ადრიანო | რიკელმე | ლამპარდი | ვენკატეში | ლამპარდი | რონალდინიო | რუნი |
| ირლანდია | დონ გივენსი | რონალდინიო | ლამპარდი | ანრი | ??? | ??? | ??? | ??? |
| ისრაელი | აბრაჰამ გრანტი | რონალდინიო | შევჩენკო | ბალაკი | ავი ნიმნი | რონალდინიო | ეტოო | ლამპარდი |
| იტალია | მარჩელო ლიპი | ლამპარდი | რონალდინიო | იბრაჰიმოვიჩი | ფაბიო კანავარო | იბრაჰიმოვიჩი | რონალდინიო | რაული |
| იამაიკა | უენდელ დაუნსველი | რონალდინიო | რონალდო | შევჩენკო | რიკარდო გარდნერი | რონალდინიო | შევჩენკო | კაკა |
| იაპონია | ზიკო | ადრიანო | ლამპარდი | ბალაკი | იამოტო ცუნეიასო | ადრიანო | კაკა | ლამპარდი |
| იორდანია | მოჰამედ ელ გოჰარი | რონალდინიო | ეტოო | ბალაკი | ფაისალ იბრაჰიმი | რონალდინიო | ანრი | ზიდანი |
| ყაზახეთი | სერეგი ტიმოფეევი | შევჩენკო | რონალდინიო | ანრი | ნურბოლ ქუმასკალიევი | ჯერარდი | რონალდინიო | რონალდო |
| სამხრეთ კორეა | დიკ ადვოკაატი | ვან ნისტელროი | ლამპარდი | რონალდინიო | ლი ვონ ჯაე | შევჩენკო | რონალდინიო | ლამპარდი |
| ქუვეითი | მიჰაი სტოიჩიტა | რონალდინიო | შევჩენკო | ჯერარდი | ბაშარ აბდულა | რონალდინიო | ანრი | ეტოო |
| ყირგიზეთი | ნემატჯან ზაქიროვი | ეტოო | დროგბა | რონალდო | ზაქირ ჯალილოვი | რონალდინიო | შევჩენკო | დროგბა |

# FIFA WORLD PLAYER 2005

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი | კაპიტანი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | იურის ანდრეესი | რონალდინიო | ჯერარდი | შევჩენკო | ვიტალის ასტაფიევსი | შევჩენკო | რონალდინიო | ლამპარდი |
| ლიბია | ილია ლონკარენცი | რონალდინიო | მალდინი | ლამპარდი | ტაიბ ტარეკი | ეტოო | რონალდინიო | რონალდო |
| ლიხტენშტაინი | მარტინ ანდერმატი | კაკა | ლამპარდი | რობინიო | დანიელ ჰასლერი | კაკა | შევჩენკო | ლამპარდი |
| ლიტვა | ალგიმანტას ლიუბინსკასი | რონალდინიო | ეტოო | ჯერარდი | აურელიუს სკარბალიუსი | ბალაკი | ლამპარდი | რონალდინიო |
| ლუქსემბურგი | გი ელერსი | რონალდინიო | დეკო | იბრაჰიმოვიჩი | რემი სებისტიანი | რონალდინიო | ზიდანი | ნედვედი |
| მაკედონია | ბობან ბაბუნსკი | რონალდინიო | ბალაკი | კაკა | პეტარ მილოშევსკი | ეტოო | ლამპარდი | რაული |
| მადაგასკარი | ოგიუსტ რო | ლამპარდი | ჯერარდი | ანრი | ფიდელ რანდრიამალალა | ბალაკი | ლამპარდი | რონალდინიო |
| მალავი | მაიკლ ჰენიგანი | ეტოო | დროგბა | ესიენი | ჯეიმს ჩილაპონდვა | რონალდინიო | კაკა | ეტოო |
| მალაიზია | ნორიჯან ბინ ბაკაკი | რონალდინიო | რობინიო | რონალდო | პაოჟ საარი | რონალდინიო | რობინიო | რონალდო |
| მალი | მორი გოიტა | რონალდინიო | დროგბა | ლამპარდი | ბუბაკარ კონე | რონალდინიო | დროგბა | ლამპარდი |
| მალტა | ჰორსტ ჰეესი | ადრიანო | მალდინი | იბრაჰიმოვიჩი | ჟილბერტ აჯიუსი | ადრიანო | მალდინი | იბრაჰიმოვიჩი |
| მავრიტანია | მოჰამად მესუდი | ანრი | ეტოო | ბალაკი | აჰმედ მოჰამედი | ანრი | ეტოო | ბალაკი |
| მექსიკა | რიკარდო ლა ვოლპე | ლამპარდი | შევჩენკო | დეკო | პაველ პარდო | ლამპარდი | ადრიანო | შევჩენკო |
| მოლდოვა | ვიქტორ პასულკო | შევჩენკო | რონალდინიო | ადრიანო | ვალერიუ კატინსუსი | შევჩენკო | რონილდინიო | ადრიანო |
| მონღოლეთი | იშდორი ოტგონბაიარი | ანრი | რუნი | კ. რონალდო | ლუმბენგარავ დონროვი | ანრი | რუნი | კ. რუნი |
| მონსერატი | ოტლი ლაბორდი | რონალდინიო | ანრი | ლამპარდი | ელტონ უილიამსი | რონალდინიო | ანრი | ლამპარდი |
| მაროკო | ფილიპ ტრუსიე | რონალდინიო | ბალაკი | ლამპარდი | თალალ ელ კარკური | რონალდინიო | ანრი | ეტოო |
| მიანმა | ივან ვენკოვი | რონალდინიო | ლამპარდი | იბრაჰიმოვიჩი | სოე ნიატ მინი | რონალდინიო | ადრიანო | ლამპარდი |
| ნამივია | სეტ ბუისი | ადრიანო | რობინიო | რუნი | ??? | ??? | ??? | ??? |
| ჰოლანდია | მარკო ვან ბასტენი | რონალდინიო | ადრიანო | ჯერარდი | ედვინ ვან დერ სარი | ლამპარდი | რონალდინიო | რუნი |
| ახალი ზელანდია | რიკი ჰერბერტი | რონალდინიო | ლამპრადი | ჯერარდი | დენი ჰეი | ეტოო | ლამპარდი | რონალდინიო |
| ნიკარაგუა | მაურიუსო კრუსი | რონალდინიო | ადრიანო | დეკო | კარლოს ალონსო | ლამპარდი | ადრიანო | ანრი |
| ნეგერია | ოსტინ აბუანონი | ლამპარდი | რონალდინიო | ჯერარდი | აგუსტინ ოკოჩა | კაკა | რიკელმე | რონალდინიო |
| ჩრ. ირლანდია | ლორი სანჩესი | რონალდინიო | ჯერარდი | ლამპარდი | აარონ ჰიუზი | რონალდინიო | ზიდანი | ლამარდი |
| ნორვეგია | აგე ჰარეიდე | რონალდინიო | ლამპარდი | ადრიანო | ტომას მიურე | რონალდინიო | ჯერარდი | ლამპარდი |
| ომანი | სრეჩკო ირუჩიჩი | კაკა | რონალდინიო | ლამპარდი | ??? | ??? | ??? | ??? |
| პაკისტანი | ტარიკ ლუფტი | რონალდინიო | ადრიანო | ანრი | ჯაფარ ჰანი | რონალდინიო | ანრი | დეკო |
| პალესტინა | აზმინ ასანი | რონალდინიო | დროგბა | დეკო | ჯენდეია საები | რონალდინიო | დეკო | რაული |
| პანამა | ჰოსე ერნანდესი | ანრი | ეტოო | კაკა | ?? | ??? | ??? | ??? |
| პარაგვაი | ანიბალ რუისი | ზიდანი | რონალდინიო | რიკელმე | კარლოს გამარა | რონალდინიო | რონალდო | შევჩენკო |
| პერუ | ფრედი ტერნერო | შევჩენკო | კაკა | ლამპარდი | ხორხე სოტო | ანრი | ლამპარდი | რონალდინიო |
| ფილიპინები | ხოსე კასლიბი | რონალდინიო | ბალაკი | შევჩენკო | ემელიო კალიგდონგი | რონალდინიო | ბალაკი | შევჩენკო |
| პოლონეთი | პაველ იანასი | რონალდინიო | ლამპარდი | ეტოო | ტომაშ კლოსი | ლამპარდი | რონალდინიო | მალდინი |
| პორტუგალია | ლუიშ სკოლარი | კაკა | ლამპარდი | იბრაჰიმოვიჩი | ლუიშ ფიგუ | მალდინი | ანრი | იბრაჰიმოვიჩი |
| პუერტო რიკო | რიკარდო ლუდუენინა | რონალდინიო | ბალაკი | ანრი | ტრისტოფერ ბორესი | რონალდინიო | ანრი | ლამპარდი |
| ყატარი | ჯემალედინ მუშოვიჩი | რონალდინიო | ზიდანი | შევჩენკო | საად ალ-შამარი | რონალდინიო | შევჩენკო | ადრიანო |
| რუმინეთი | ვიქტორ პიცურკა | რონალდინიო | ლამპარდი | იბრაჰიმოვიჩი | კრისტიან კივუ | რონალდინიო | ლამპარდი | იბრაჰიმოვიჩი |
| რუსეთი | იური სიომინი | შევჩენკო | რონალდინიო | ლამპარდი | ალექსეი სმერტინი | ლამპარდი | შევჩენკო | რონალდინიო |
| სან მარინო | ჯანპაოლო მაცა | შევჩენკო | რონალდინიო | ნესტა | ანდი სელვა | რონალდო | რონალდინიო | მალდინი |
| სან ტომე და პრინსიპი | ედსონ დიაში | რონალდინიო | დროგბა | ლამპარდი | იორსელან სოუსა | რონალდინიო | დროგბა | ლამპარდი |
| საუდის არაბეთი | გაბრიელ კალდერონი | რონალდო | ეტოო | ადრიანო | სამი ალ ჯაბერი | ლამპარდი | რონალდინიო | ჯერარდი |
| შოტლანდია | ვოლტერ სმიტი | რონალდინიო | ლამპარდი | ბალაკი | ბარი ფერგიუსონი | რონალდინიო | ლამპარდი | რუნი |
| სენეგალი | სარ აბდულაი | რონალდინიო | ანრი | ეტოო | ლამინე დიატა | რონალდინიო | ანრი | ეტოო |
| სერბეთი | ილია პეტკოვიჩი | ლამპარდი | რონალდინიო | ადრიანო | სავო მილოშევიჩი | რონალდინიო | ეტოო | მალდინი |
| სეიშელის კ-ბი | რაულ შონგუ | რონალდინიო | ანრი | ეტოო | დენის ბარბერი | რონალდინიო | ადრიანო | ლამპარდი |
| სიერა ლეონე | ჯონ შერინგტონი | რონალდინიო | ბალაკი | ეტოო | სიდიკ მამასარი | რონალდინიო | შევჩენკო | ეტოო |
| სინგაპური | რადოიკო ავრამოვიჩი | რონალდინიო | ლამპარდი | შევჩენკო | აიდე ისქანდარი | რონალდინიო | ეტოო | რუნი |
| 11002 | ჩელსი-ფულემი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11006 | უიგანი-სიტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.40 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11011 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11087 | პარმა-კალიარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11088 | რომა-კიევო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11089 | ინტერი-ემპოლი | 1.40 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11091 | ლეჩე-ლაციო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11092 | ლივორნო-მილანი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11093 | ფიორენტინა-პალერმო | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11095 | მესინა-რეჯინა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11096 | უდინეზე-სამპდორია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11099 | ასკოლი-ტრევიზო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11129 | ბეტისი-ალავესი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11130 | სარაგოსა-ბილბაო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11133 | სოსიედადი-კადისი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11136 | დეპორტივო-ესპანიოლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11138 | ვალენსია-მალიორკა | 1.85 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 |
| 11140 | ხეტაფე-სევილია | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11141 | მალაგა-ვილიარეალი | 4.70 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 12002 | ჩელსი-ფულემი | 1.90 | 1.70 |
| 12004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | უიგანი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.60 |
| 12009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12087 | პარმა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12088 | რომა-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12089 | ინტერი-ემპოლი | 2.10 | 1.55 |
| 12091 | ლეჩე-ლაციო | 1.90 | 1.70 |
| 12092 | ლივორნო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12093 | ფიორენტინა-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 12095 | მესინა-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12096 | უდინეზე-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12097 | იუვენტუსი-სიენა | 2.10 | 1.60 |
| 12099 | ასკოლი-ტრევიზო | 1.60 | 2.10 |
| 12129 | ბეტისი-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12130 | სარაგოსა-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 12131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12133 | სოსიედადი-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12136 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12138 | ვალენსია-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12139 | რეალი-რასინგი | 2.00 | 1.60 |
| 12140 | ხეტაფე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12141 | მალაგა-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ჩელსი-ფულემი | 2.00 | 1.60 |
| 13004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | უიგანი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.60 |
| 13009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13087 | პარმა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13088 | რომა-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13089 | ინტერი-ემპოლი | 1.90 | 1.70 |
| 13091 | ლეჩე-ლაციო | 1.60 | 2.00 |
| 13092 | ლივორნო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13093 | ფიორენტინა-პალერმო | 1.60 | 2.00 |
| 13095 | მესინა-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13096 | უდინეზე-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13097 | იუვენტუსი-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 13099 | ასკოლი-ტრევიზო | 1.70 | 1.90 |
| 13129 | ბეტისი-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13130 | სარაგოსა-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13133 | სოსიედადი-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13136 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13138 | ვალენსია-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13139 | რეალი-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13140 | ხეტაფე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13141 | მალაგა-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩარლტონი-არსენალი | 2.40 | 1.40 |
| 14004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | უიგანი-სიტი | 1.80 | 1.90 |
| 14009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 2.20 |
| 14011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.30 | 2.50 |
| 14013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.30 | 1.60 |
| 14014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 2.10 |
| 14087 | პარმა-კალიარი | 1.70 | 2.20 |
| 14088 | რომა-კიევო | 1.65 | 2.30 |
| 14089 | ინტერი-ემპოლი | 1.05 | 2.90 |
| 14091 | ლეჩე-ლაციო | 1.90 | 1.90 |
| 14092 | ლივორნო-მილანი | 2.30 | 1.60 |
| 14093 | ფიორენტინა-პალერმო | 1.40 | 2.40 |
| 14095 | მესინა-რეჯინა | 1.70 | 2.10 |
| 14096 | უდინეზე-სამპდორია | 1.80 | 2.00 |
| 14099 | ასკოლი-ტრევიზო | 1.70 | 2.20 |
| 14129 | ბეტისი-ალავესი | 1.60 | 2.30 |
| 14130 | სარაგოსა-ბილბაო | 1.70 | 2.20 |
| 14131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.55 | 2.30 |
| 14133 | სოსიედადი-კადისი | 1.55 | 2.30 |
| 14136 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.40 | 2.40 |
| 14138 | ვალენსია-მალიორკა | 1.20 | 2.60 |
| 14139 | რეალი-რასინგი | 1.06 | 2.90 |
| 14140 | ხეტაფე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 14141 | მალაგა-ვილიარეალი | 2.00 | 1.80 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩარლტონი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ჩელსი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | უიგანი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ლივერპული-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | პარმა-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15088 | რომა-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | ინტერი-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | ლეჩე-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ლივორნო-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ფიორენტინა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | მესინა-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | უდინეზე-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | იუვენტუსი-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ასკოლი-ტრევიზო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15129 | ბეტისი-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | სარაგოსა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15133 | სოსიედადი-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | დეპორტივო-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15138 | ვალენსია-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | რეალი-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | ხეტაფე-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | მალაგა-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ჩარლტონი-არსენალი | 3.20 | 1.25 |
| 16004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.20 | 3.30 |
| 16006 | უიგანი-სიტი | 1.60 | 1.90 |
| 16009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.55 | 1.95 |
| 16010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.40 | 2.30 |
| 16011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.20 | 3.40 |
| 16013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.85 | 1.35 |
| 16014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.45 | 2.35 |
| 16087 | პარმა-კალიარი | 1.40 | 2.50 |
| 16088 | რომა-კიევო | 1.35 | 2.55 |
| 16091 | ლეჩე-ლაციო | 1.80 | 1.80 |
| 16092 | ლივორნო-მილანი | 2.60 | 1.35 |
| 16093 | ფიორენტინა-პალერმო | 1.25 | 3.00 |
| 16095 | მესინა-რეჯინა | 1.40 | 2.45 |
| 16096 | უდინეზე-სამპდორია | 1.50 | 2.20 |
| 16099 | ასკოლი-ტრევიზო | 1.45 | 2.30 |
| 16129 | ბეტისი-ალავესი | 1.40 | 2.50 |
| 16130 | სარაგოსა-ბილბაო | 1.40 | 2.50 |
| 16131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.35 | 2.65 |
| 16133 | სოსიედადი-კადისი | 1.30 | 2.70 |
| 16136 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.20 | 3.30 |
| 16138 | ვალენსია-მალიორკა | 1.15 | 3.90 |
| 16139 | რეალი-რასინგი | 1.06 | 5.90 |
| 16140 | ხეტაფე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 16141 | მალაგა-ვილიარეალი | 1.90 | 1.60 |

## გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ჩელსი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | უიგანი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | პარმა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17088 | რომა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17089 | ინტერი-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17091 | ლეჩე-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ლივორნო-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ფიორენტინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17095 | მესინა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17096 | უდინეზე-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17097 | იუვენტუსი-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ასკოლი-ტრევიზო | 1.85 | 1.95 |
| 17129 | ბეტისი-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17130 | სარაგოსა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17133 | სოსიედადი-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17138 | ვალენსია-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17139 | რეალი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17140 | ხეტაფე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17141 | მალაგა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |



გიორგი ცინცაძე მოსკოვის „დინამოში“ ყოჩაღობს

# ცინცაძემ ენისეი გადაცურა
## ბოისამ სერია გაიხსენა

**ᲒᲐᲡᲣᲚᲘ** კვირა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ რუსეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში, მოსკოვის „დინამოში“ 19 წლის გიორგი ცინცაძეს დებიუტი ჰქონდა. დიდი ხანი არაა, რაც იგი მოსკოველებმა შეიმატეს, თუმც ცინცაძის თამაშისთვის მშვენიერი პირობა შეიქმნა, როცა „დინამოს“ სათასო მეტოქედ ქვედადივიზიონელი „ენისეი“ ერგო.

„დინამოს“ გამარჯვება არავითარ ეჭვს არ იწვევდა და დუშან ივკოვიჩმა, მოსკოველთა სერბმა თავკაცმა, გუნდის ლიდერებს დასვენების საშუალება მისცა. დინამოელთა განაცხადში ახალგაზრდები გამოჩნდნენ და მათ შორის იყო გიო ცინცაძეც, რომელიც „ენისეის“ წინააღმდეგ ნათამაშებ ორივე სათასო შეხვედრაში მონაწილეობდა და ორჯერვე თავი ისახელა.

მოსკოვურ მატჩში ცინცაძემ 28 წუთი ითამაშა და 18 ქულით ბომბარდირი გახდა, ხოლო შორეულ კრასნოიარსკში მან 23 წუთი იბურთავა და 12 ქულას დასჯერდა.

მთლად დებიუტი არ ჰქონია, მაგრამ გვარიანი შესვენების შემდეგ იტალიის ჩემპიონატში კვლავ ითამაშა ვლადიმერ ბოისამ. აქამდე მას მხოლოდ ევროლიგაში ათამაშებდნენ, სერია A-ში არაევროკავშირელებზე დაწესებული ლიმიტის გამო განაცხადში ვერ ხვდებოდა. იტალიის ბოლო ტურში კი, „სიენა“ რომ „კარირეს“ ხვდებოდა, ბოისა განაცხადში, მოგვიანებით კი მოედანზეც გამოჩნდა და 24 წუთში თავისიანებს 7 ქულითა და 4 მოხსნით შეეწია.

24 წუთი ითამაშა ბოისამ ევროლიგის მატჩშიც. „სიენამ“ „ულქერს“ უმასპინძლა და გვარიან ბრძოლაში დამარცხდა. ბოისას საბოლოო მონაგარი 8 ქულითა და 5 მოხსნით განისაზღვრა.

შემონდ უილიამსის „ბარსელონა“ კი განვლილ კვირაში ორჯერ დამარცხდა — ევროლიგაში მოქმედ ჩემპიონ „მაკაბის“ დაეჩაგვრინა, ხოლო ესპანეთის ჩემპიონატში სტუმრად „გრანადასთან“ წააგორხილა.

ქართულპასპორტიანმა ამერიკელმა თავი ისე ვერ გამოიჩინა, როგორც ეკადრება. „მაკაბისთან“ თუ კიდევ არა უშავდა და 10 ქულას მოუყარა თავი, „გრანადასთან“ მხოლოდ 5-ის შეკოწიწება მოახერხა.

ამერიკიდან ახალი არაფერია, თუ არ ჩავთვლით ზაზა ფაჩულიას ერთმატჩიან უქმობას. წელის ტკივილის გამო „ატლანტას“ ქართველმა ცენტრმა ამ სეზონში პირველი მატჩი გამოტოვა. „ფილადელფიასთან“ ზაზა სათადარიგო სკამზე იჯდა და მისი გუნდი დამარცხდა — არადა, ბოლო 5 მატჩში ამ შეხვედრის გარდა ყველა მოიგო. მოედანს მობრუნებული ფაჩულია ძველებური შედეგიანობით შეეწია ატლანტელებს.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | ევროლიგა | ულქერი | შ | 70:74 | 24 | 8 | 5 | 1 |
| | | სერია A | კარირე | შ | 79:68 | 24 | 7 | 4 | 0 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა | მაკაბი | შ | 78:88 | 26 | 10 | 7 | 2 |
| | | ესპანეთის ჩემპიონატი | გრანადა | ს | 85:87 | 17 | 5 | 0 | 3 |
| გიორგი ცინცაძე | დინამო (მ) | რუსეთის თასი | ენისეი | ს | 70:82 | 23 | 12 | 3 | 1 |
| | | რუსეთის თასი | ენისეი | შ | 112:60 | 28 | 18 | 4 | 4 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ. | ფილადელფია | ს | 101:106 | არ უთამაშია | | | |
| | | | ნიუ იორკი | შ | 122:111 | 30 | 9 | 11 | 5 |
| | | | დენვერი | შ | 110:107 | 35 | 15 | 13 | 2 |
| ნიკა ცქიტიშვილი | მინესოტა | NBA რეგულარული ჩემპ. | სან ანტონიო | შ | 88:90 | არ უთამაშია | | | |
| | | | დალასი | ს | 95:102 | არ უთამაშია | | | |
| | | | საკრამენტო | შ | 91:93 | არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# დეტროიტორი
## პისტონების ზათქაბუთქი

19 დეკემბერი

**ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ 90:92 ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ**

**ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ:** ფრენსისი (20), ნელსონი (14), ბათი (13), ჰილი (11)

**ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ:** ბოში (19 ქულა, 12 მოხსნა), პიტერსონი (19), როუზი (15)

**ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 109:98 ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲘ**

**ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ:** დევისი (21), პირსი (19), ბლუნტი (17), ბანქსი (16),

**ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲘ:** მერფი (27 ქულა, 12 მოხსნა), დევისი (24), რიჩარდსონი (23)

**ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ 106:103 ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ**

*ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ 99:99*

**ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ:** ბრეჟეცი (26), ვოლესი (15), ფელტონი (14)

**ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ:** აბდურ-რაჰიმი (32), ბიბი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), მარტინი (19)

**ᲛᲔᲛᲤᲘᲡᲘ 104:106 ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ**

*ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ 87:87*

**ᲛᲔᲛᲤᲘᲡᲘ:** გასოლი (32 ქულა, 13 მოხსნა), სტუდემაიერი (24), რაიტი (14)

**ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ:** ბილაფსი (30), პრინსი (24), ჰამილტონი (19), ბ; ვოლესი (9 ქულა, 14 ამოხსნა, 5 დაფარება)

**ᲡᲘᲔᲢᲚᲘ 111:101 ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ**

**ᲡᲘᲔᲢᲚᲘ:** ლუისი (30), ალენი (24), რიდნორი (15 ქულა, 10 მოხსნა), რადმანოვიჩი (14)

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ:** არენასი (30 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), ბატლერი (19)

**„ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢ ᲞᲘᲡᲢᲝᲜᲖᲘ“** აქამდე რეგულარულ სეზონში ისე ვერ ბობოქრობდა, საპლეიოფოდ პირველ ფავორიტად დაესახელებინათ. მერე, უკვე პლეი ოფისთვის უმატებდა და იქ ბევრისთვის მოულოდნელად იწყებდა მეტოქეების ერთიმეორის მიყოლებით დამარცხებას. მაგრამ 2004 წლის ჩემპიონებმა და 2005 წლის მეორე პრიზიორებმა სტრატეგია შეცვალეს — როგორც ჩანს, რეგულარული სეზონის დამთავრებას აღარ უცდიან და ამთავითვე იწყებენ ყოველი შემხვედრის მუსრვას. იწყებენ კი არა, კარგა ხანია, დაწყებული აქვთ — 22 მატჩიდან 19 გამარჯვება და უდავო პირველი ადგილი არა მხოლოდ აღმოსავლეთ კონფერენციაში, არამედ სრულიად ნბა-ში. ამ გუნდის დამარცხება ისედაც თითქმის შეუძლებელია, ხოლო როდესაც იღბალიც მის მხარესაა...

ყოჩაღმა „მემფის გრიზლიზმა“ წოწოლა ესპანელ პაუ გასოლის ლიდერობით გვარიანი წინააღმდეგობა შეჰბედა ამ ზემძლავრ მეტოქეს და 48 კი არა, მთელი 58 წუთი (ოთხი მეოთხედი და ორი ოვერტაიმი) უძლებდა მის იერიშებს, თავადაც თავგანწირვით უტევდა, მაგრამ ისე გამოვიდა, გამარჯვება მაინც „დეტროიტს“ დარჩა.

ექსჩემპიონმა და მეორე პრიზიორმა, 29 წლის გამთამაშებელმა ჩონსი ბილაფსმა 30 ქულა დაატეხა თავს მასპინძლებს და იმდენი ქნა, თავისი მაინც გაიტანა, უფრო ზუსტად, კი არ გაიტანა, ჩაავდო: მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებზე მას შანსი ჰქონდა, ოვერტაიმის გარეშე გაეტეხა მეტოქე, მაგრამ ააცილა და „დეტროიტიცა“ და „მემფისიც“ დამატებით ხუთწუთეულში საჯაჯგუროდ „გაწირა“. ის ხუთი წუთი რომ მიილია, 93:93 ანგარიშზეც ჩონსიმ ტყორცნა გადამწყვეტი ბურთი, მაგრამ კვლავ არაზუსტად, მეორე ოვერტაიმის ბოლოს, თქვენ წარმოიდგინეთ, ისევ მას მიეცა ტყორცნის საშუალება. ამჯერად უკვე აღარ აუცილებია და როგორც იქნა, დაამთავრა თამაში.

„ვიცი, ვიცი, მანამდეც უნდა ჩამეგდო, მაგრამ მივქარე — ილიმებოდა ჩონსი ნამატჩევს — ბედნიერი ვარ, რომ მერეც მომეცა ამის შანსი და გამოვიყენე“.

მოკლედ, „დეტროიტმა“ ელვის პრესლის ქალაქში მორიგი, ზედიზედ მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა და სხვათა დასალაშქრად გასწია.

ასევე დამატებითი დროის გამართვა დასჭირდათ „შარლოტ ბობქეთსსა“ და „საკრამენტო კინგზს“ ერთმანეთს შორის მჯობნის გამოსარკვევად. სულ დამჭლევდა არცთუ შორეულ წარსულში მთელ ამხელა ასოციაციაში ყველაზე ლაღად და ჩაუქად მობურთალი „საკრამენტო“, ვისთვისაც სამიოდ წლის წინ ჩემპიონობაც ალალი იქნებოდა. კალიფორნიელ „მეფეებს“ ახლა სუსტებიც ართმევენ ჰაერივით საჭირო გამარჯვებებს. აგერ, ორი წლის „შარლოტმაც“ მარცხნაჭამი გამოუშვა. მასპინძელთა 216-სანტიმეტრიანმა სლოვენიელმა ცენტრმა, პრიმოჟ ბრეჟეცმა, თავის 26 ქულიდან 5 ოვერტაიმში აართვა საკრამენტოელებს. ისიც სათქმელია, რომ შარლოტელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დამტვრეული ჰყავდათ, მათ შორის, სხარტი გამთამაშებელი ბრევინ ნაითი, ხოლო მათმა მთავარმექულე ქარიმ რაშმა მხოლოდ 8 წუთი ითამაშა, მერე ისიც დაიმტვრა.

ცუდად მისდის საქმეები „ვაშინგტონ ვიზარდსს“.

დედაქალაქელებს ლიდერთაგან არავინ აკლდათ, ერთი შეხედვით, რიგიანადაც ბურთაობენ, მაგრამ ეს მოქნილი და გულუხვი გუნდი გამარჯვებებს მაინც მოისაკლისებს. სიეტლშიც ნორმალურად ითამაშეს, გამარჯვებისგანაც არ იდგნენ შორს, მაგრამ სიეტლელმა რაშარდ ლუისმა, ბოლო სამ წუთში კალათში 8 ქულა უმარჯვა ამ საწყლებს და, ზედიზედ მესამე და ბოლო შვიდ შეხვედრაში, მეექვსე მარცხით დაზურგა.

„ვაშინგტონის“ გაქანების „ორლანდოსაც“ არ ულხინს ისე, რომ მარჯვნივ და მარცხნივ არიგოს გამარჯვებები.

ფლორიდელები ვერ მოერივნენ ამ დროისთვის ლიგის უარეს გუნდ „ტორონტო რეპტორზს“, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ლიდერი მწყობრში ჰყავთ. აგერ, ერთი კვირაა, ტრავმახშირი გრანტ ჰილიც კი გამოუჯანმრთელდათ. ჰილმა 38 წუთი ითამაშა, მეტოქის კალათს ბურთის ტყორცნა მხოლოდ შვიდჯერ „შეჰბედა“ და სულ რაღაც 11 ქულით შემოიფარგლა. ზღაპრული ხელჩუბინობა არც სხვა ორლანდოელებს გამოუჩნდათ და მათი გუნდი უსახურ კანადელთან ბრძოლაში დაეცა.

**ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით ჭელიძისთვის (მარცხნივ) განსაკუთრებით საინტერესო მწერალ ნუგზარ შატაიძის შთაბეჭდილება იყო



ზურაბ საკანდელიძის მეუღლე, მაცაცო მგელაძე წიგნის პრეზენტაციაზე შვილიშვილებთან ერთად მოვიდა

# სევდიანი პრეზენტაცია

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტორეპორტაჟი*



ლევან მოსეშვილი თავის მეგობარზე დაწერილი წიგნის კითხვამ მოგონებებში წაიყვანა



წიგნის პრეზენტაციაზე მისული საზოგადოება კითხვამ იქვე გაიტაცა

**ზურაბ** საკანდელიძისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია კაფე „მსოფლიო სპორტში" მოეწყო, სადაც კალათბურთის ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები შეიკრიბნენ. სევდიან მოგონებებს ფონად ცნობილი ოლიმპიური ფინალის კადრები გასდევდა.

„წიგნის დაწერა ქალიშვილის, ქეთას, იდეა იყო — თქვა საკანდელიძის მეუღლემ, მაცაცო მგელაძემ — მისი პრეზენტაცია ზურაბის 60 წლისთავს სპეციალურად დავამთხვიეთ. დიდი მადლობა ყველას, ვისაც წიგნის გამოცემაში თუნდაც უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის, განსაკუთრებით, მის ავტორ დავით ჭელიძეს. ბრწყინვალე წიგნია. ამაში თავადაც დარწმუნდებით".

*გურამ მინაშვილი (ვეტერანი კალათბურთელი):*

— ზურასნაირი სპორტსმენი ნებისმიერი ქვეყნისთვის დიდი სიმდიდრეა. საოცარია, რომ ასეთი კაშკაშა ვარსკვლავი ამ პატარა ქვეყანამ გამოზარდა. მეამაყება, რომ ასეთი კაცის გვერდით მიწევდა ყოფნა. სამწუხაროდ, მის სიდიადეს ახლა უფრო მეტად ვგრძნობთ. მე უკვე წავიკითხე ეს მშვენიერი წიგნი. მასში ზურა საკანდელიძის ცხოვრება საოცარი სიზუსტითაა გადმოცემული.

*ლევან მოსეშვილი (ვეტერანი კალათბურთელი):*

— ძნელია, ზურაბ საკანდელიძეზე წარსულში ლაპარაკი. იგი იყო ვარსკვლავი და უბრწყინვალესი პიროვნება.

ამქვეყნიდან ძალიან ადრე წავიდა, მაგრამ საოცრად დიდი სიყვარულის დამსახურება მოასწრო. ბევრმა სწორედ საკანდელიძის თამაშის ხილვის შემდეგ შეიყვანა შვილი კალათბურთზე.

საღამო ლეგენდარული კალათბურთელის ბოლო ტელეინტერვიუმ დაასრულა.

**ირაკლი პერტაია**

# კანდელი ზურაბ საკანდელიძისა

**შარშან** გარდაიცვალა უბრწყინვალესი ქართველი სპორტსმენი ზურაბ საკანდელიძე, რომელსაც ახლა 60 წელი შეუსრულდებოდა. დღეს ამ თარიღს მოგონებებით იხსენებენ ზურაბ საკანდელიძის ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები, ყოფილი თანაგუნდელები, კალათბურთის მოყვარულები და უბრალოდ სპორტის გულშემატკივრები.

ამ თარიღს დაემთხვა ცნობილი სპორტული ჟურნალისტის, დავით ჭელიძის წიგნი ზურაბ საკანდელიძეზე — „კანდელი ზურაბ საკანდელიძისა".

დავით ჭელიძე, როგორც ერთ დროს კალათბურთზეც მწერალი კაცი, მომსწრეა ზურაბ საკანდელიძის არაერთი ბრწყინვალე თამაშისა, რომლებიც თბილისის სპორტის სასახლის თაღებქვეშ თუ სხვა ქალაქებში უნახავს.

დავით ჭელიძე, თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, შეხვედრია და უსაუბრია სხვადასხვა ქვეყნის კალათბურთელებთან, მათ მწვრთნელებთან, ამ საქმის ცნობილ სპეციალისტებთან, რომლებსაც სახოტბო სიტყვები არ დაუშურებიათ ზურაბ საკანდელიძის მისამართით.

დავით ჭელიძეს თავის დროზე მკითხველისთვის გაუცვნია ის გამოხმაურებანი, რომლებსაც აღტაცებით წერდნენ უცხოური ჟურნალ-გაზეთები თუ წიგნების ავტორები.

დავით ჭელიძემ ეს ყოველივე კიდევ ერთხელ გაიხსენა, ამ წიგნისთვის ბევრი სხვაც მოიძია და 27 თავად დაყოფილ, 20-გვერდიან დოკუმენტურ მოთხრობაში 100-მდე ფოტოსთან ერთად დასტამბა.

ოღონდაც, ეს წიგნია არა მხოლოდ ზურაბ საკანდელიძის სპორტულ ცხოვრებაზე, არამედ იგი ერთი დიდი მონაკვეთი გახლავთ ქართული კალათბურთის ისტორიაზეც, მის ოქროს ხანაზე...

ეს წიგნია ზურაბ საკანდელიძის ოჯახის წევრებზეც, რომელიც არანაკლებ საინტერესოა მკითხველისთვის.




„დიდია ამ გამოცემის მნიშვნელობა, და არა მარტო საკანდელიძის ოჯახისა და მისი მეგობრებისთვის. წარსულს თუ არ ვეცით პატივი, ის თუ დაივიწყე და უარყავი, მომავალს ვერ ააშენებ. სამწუხაროდ, ეს შეგონება რატომღაც სჭირდება ჩვენს დღევანდელ ღრმად განათლებულ თაობას, ჩვენი ქვეყნის პატრონობა რომ ითავა.

ეს წიგნი სწორედ ახალი თაობისთვის არის გამიზნული", — წერს წიგნის წინასიტყვაობაში ზურაბ საკანდელიძის თანაგუნდელი, ქართული კალათბურთის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ვარსკვლავი გურამ მინაშვილი.

„გადავწყვიტე, როგორც შევძლებდი, ჯერ თავად გავცნობოდი და მერე მკითხველისთვის შემეთავაზებინა ზურაბ საკანდელიძის ბიოგრაფიის ისეთი ფურცლები, დიდი სპორტსმენის ელვარე წარმატებების ფონზე ხშირად ჩრდილში რომ რჩება — როგორ გაიარა მისმა ბავშვობამ და ყრმობამ, ვინ აზიარა კალათბურთს, სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, როგორ გაიკაფა გზა უმაღლესი ოსტატობისკენ, როგორი იყო მეტოქისა და თაყვანისმცემლის თვალს მოშორებული, შინ, ოჯახთან, ძმაკაცებთან, რა უხაროდა და რა სტკიოდა. დასასრულს, ჩემი ჩანაფიქრით, წიგნში თუნდაც მოკლედ, უნდა ასახულიყო მსოფლიო კალათბურთის ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავის გზა დიდ სპორტში — დასაწყისიდან სარბიელზე უკანასკნელ გამოსვლამდე. ერთი სიტყვით, ეს უნდა ყოფილიყო დოკუმენტური მოთხრობა დიდ სპორტსმენზე.

მომიტევოს ზურაბის ნათელმა სულმა, თუ ისე ვერ შევასრულე ეს განზრახვა, როგორც მის სახელს ეკადრება" — წერს დავით ჭელიძე შესავალში.

ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ ავტორი ამაოდ არ გაისარჯა. მისი წიგნი (რედაქტორი ცისანა ნიკოლაიშვილი) ერთი ამოსუნთქვით იკითხება; სტაჟიანი კალათბურთის მოყვარული ბევრ რამეს ტკბილად გაიხსენებს და ბევრსაც ახალს შეიტყობს ზურაბ საკანდელიძეზე, ახალგაზრდა თაობა კი გაიგებს, თუ როგორი იყო ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრი ზურაბ საკანდელიძე.

**ავთანდილ ტყვიშელი**

## რეგულარული ჩემპიონატი

# მსაჯთა სტვენამ გადარია ბელფორდი

19 დეკემბერი

**ტორონტო 9:6 აილენდერსი**

*4:4 4:0 1:2*

0:1 გოდარი (3), 1:1 პონიკაროვსკი (9), 2:1 კლი (11), 2:2 პერიში (14), 2:3 იაშინი (15), 2:4 კოლინზი (18), 3:4 ჩერკავსკი (18), 4:4 ონილი (20), 5:4 ველვუდი (28), 6:4 სტეიჯენი (30), 7:4 სტეიჯენი (32), 8:4 სუნდინი (35), 8:5 იორკი (43), 9:5 ტაკერი (53), 9:6 ეშამი (54)

**ედ ბელფორმა**, როგორც იქნა, ლეგენდარულ ტერი სავჩუკს გაუსწრო და ლიგის ისტორიაში ყველაზე წარმატებული გოლკიპერების სიის მეორე ადგილზე გაბატონდა. ბოლო მატჩები „არწივი" ედისთვის ნამდვილ წამებად იქცა. 447-ე გამარჯვებისა და სავჩუკთან გატოლების შემდეგ ბელფორმს ზედიზედ 5 მატჩში არ გაუმართლა. არანაკლებ სანერვიულო გამოდგა ეს შეხვედრაც. სეზონის ყველაზე უხვგოლიანი თამაში საკმაოდ დრამატული იყო. ედიმ მხოლოდ ბოლო წუთებზე ამოისუნთქა.

„მეგონა, ეს თამაში არასდროს დასრულდებოდა. ჯარიმები არ ილეოდა. ხშირად ხუთი სამზე ვთამაშობდით, მსაჯთა გამუდმებულმა სტვენამ კი ლამის გულის შეტევამდე მიმიყვანა" — თქვა ბელფორმა ნამატჩევს.

თუმც ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც აილენდერსელმა რიკ დიპიეტრომ განიცადა. ორშაბათს აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა დაასახელეს, სადაც დიპიეტრო პირველი მეკარეა. ასეთ სასიხარულო დღეს მან ნამდვილი სირცხვილი ჭამა. 30-ე წუთზე რიკი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 17 დარტყმიდან 6 გაუშვა, თუმც სტუმრებს მეკარის შეცვლამაც ვერ უშველა — გარტ სნოუმ მეორე პერიოდში კიდევ ორი შაიბა გაუშვა.

**ფილადელფია 1:2 ბუფალო**

*0:0 1:0 0:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 კნუბლი (25), 1:1 გოსტადი (48), 1:2 გადამწყვეტი ბულიტი: აფინოგენოვი

**„ბუფალოს"** ძირითადი მეკარე არ ჰყავდა, მაგრამ ამანაც ვერ შეუშალა ხელი — ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო სტუმრად, რაც ლიგის ყველა დროის რეკორდს მხოლოდ ერთით ჩამოუვარდება. ბოლო ხანებში ძალიან გადატვირთულ მარტინ ბირონს გუნდის თავკაცებმა დასვენების საშუალება მისცეს, თუმც მისმა შემცვლელმა რაიან მილერმა არანაკლებ სოლიდური თამაში აჩვენა და ძირითად დროში მოგერიებული 33 დარტყმის გარდა, ბულიტების სერიაშიც ოთხიდან მხოლოდ ერთი გაუშვა.

**მინესოტა 2:1 დალასი**

*0:0 0:1 2:0*

0:1 ლეჰტინენი (21), 1:1 უაიტი (49), 2:1 გაბორიკი (52)

**ედმონტონი 5:4 კალგარი**

*2:2 1:2 2:0*

0:1 ჰუსელიუსი (5), 1:1 ულანოვი (8), 1:2 ლენგკოუ (11), 2:2 ჰორკოფი (16), 2:3 ფანიოფი (26), 2:4 რაინპრეხტი (27), 3:4 ულანოვი (36), 4:4 ჰორკოფი (51), 5:4 პიზანი (60)

**ვანკუვერი 3:4 ლოს ანჯელესი**

*2:2 1:1 0:0 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 ნესლუნდი (7), 2:0 დ. სედინი (10), 2:1 რენიკი (10), 2:2 არმსტრონგი (17), 3:2 მაკარტი (26), 3:3 კონროი (36), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: ფროლოვი

**სამველ ღარიბიანი**




AFP ტორონტოსან

„ტორონტოს" მცველი ბრაიან მაკკეიბი მალე მიროსლავ შატანს გალახავს



## მსოფლიოს XVII ჩემპიონატი. ქალები
### სანქტ პეტერბურგი. 5–18 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა




AFP

რუსეთის ნაკრები მეორედ გახდა მსოფლიოში საუკეთესო

# სლავი ქალების აბსოლუტური ტრიუმფი
## ბარსელონაც ასპროცენტიანია

**ტრადიციულად**, ხელბურთის სეზონს ქალები ხურავენ. ყოველწლიურად შობისწინა დღეებში მონაცვლეობით ტარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები.

სანქტ პეტერბურგმა რიგით მე-17 მსოფლიო ფორუმს უმასპინძლა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში პირველად გაიმართა ამ რანგის შეჯიბრება, რომელიც უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. როცა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა მონაწილეებს ჰკითხეს, იყო თუ არა რაიმე პრობლემაო, მათ ტაშით უპასუხეს.

ეგაა, მაყურებლები თავიდან თითქმის არ ეტანებოდნენ თამაშებს, თუმც დასკვნითი შეხვედრებისას ტრიბუნები გადაიჭედა — „ყინულის სასახლეში" რუსეთისა და რუმინეთის ფინალურ მატჩს ცხრა ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ცხადია, იყვნენ რუმინელი ქომაგებიც, მათ შორის საგანგებოდ ჩასული ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. თუმც, ამგვარი დონის მხარდაჭერის მიუხედავად, რუმინელებმა ვერაფერი გააწყვეს აღმაფრენით მოთამაშე მასპინძლებთან. პირველი ტაიმი და მთელი მატჩიც რუსთა ნაკრებმა ხუთბურთიანი სხვაობით მოიგო — 28:23 (17:12). სლავმა ქალებმა ტურნირის ათივე შეხვედრაში გაიმარჯვეს ბურთების ფანტასტიკური სხვაობით — 328:239.

რუმინელთა მწვრთნელმა გეორგე ტადიჩმა გულით მიულოცა თავის კოლეგა-მეგობარ ევგენი ტრეფილოვს დამსახურებული გამარჯვება და აღნიშნა, რომ თავად სავსებით კმაყოფილია 32 წლის შემდეგ ვერცხლის მედლების მოპოვებით.

ჩემპიონატის 24 მონაწილეს შორის ათი არაევროპული ქვეყანაც იყო, თუმც სამედლოდ ვერც ერთმა ვერ გაიბრძოლა. ყველაზე მაღლა ავიდა ბრაზილიის ნაკრები, რომელმაც მეშვიდე ადგილისთვის მატჩში კორეელებს აჯობა — 29:28.

ტრეფილოვის გოგოებმა ოთხი წლის წინანდელი წარმატება გაიმეორეს. საინტერესოა, რომ მსოფლიოს 2001 წლის პირველობის ფინალურ შეხვედრაშიც ნორვეგიელებს მათ ასევე ხუთი ბურთით სძლიეს — 30:25.

იმ „ოქროს" შემადგენლობიდან გუნდში ხუთი ხელბურთელი დარჩა. ნაკრების წევრთა თითქმის ნახევარი — შვიდი მოთამაშე — გამოდის ტოლიატის „ლადაში", რომლის მწვრთნელიც სწორედ ტრეფილოვია. ექვსნი ევროპის წამყვანი კლუბების წევრები არიან.

რუსთა ხაზელი, 27 წლის ლუდმილა ბოდნიევა, რომელიც სლოვენიის ჩემპიონ „კრიმ ლიუბლიანას" ღირსებას იცავს, ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მის გარდა სიმბოლურ შესანიშნავ შვიდეულში შევიდნენ რუმინელები, 34 წლის მეკარე ლუმინიცა დინუ და ვალენტინა ნელი არდეან-ნილსენი (23), ჰოლანდიელი პიარლ ვან დერ ვისელი (21), უნგრელი ანიტა გორბიჩი (22), გერმანელი გრიტ იურაკი (28) და კორეელი სუნ-ჰი ვუ (27).

ბომბარდირთა შორის ორხელისუფლებიანობაა. ავსტრიელმა ტატიანა ლოგვინმა და გერმანელმა ნადინ კრაუზემ 60-60 ბურთი გატანეს, თუმც ავსტრიელმა კონკურენტზე ოთხით ნაკლები, მხოლოდ ხუთი თამაში ჩაატარა.

მეკარეთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი — 48 პროცენტი აქვს ფრანგ ლორენს მაიოს, რომელმაც 80-დან 38 ნატყორცნი მოიგერია.

„ლადა" შუა იანვრიდან ჩემპიონთა ლიგაში გააგრძელებს ბრძოლას. გათამაშებას შემორჩენილ 16 გუნდს შორის კიდევ ერთი რუსული კლუბია — ვოლგოგრადის „დინამო". ყველაზე მეტი, სამი წარმომადგენელი ჰყავს სანქტ პეტერბურგში მეოთხე ადგილზე გასულ დანიას.

ვაჟთა ლიგა მოგვიანებით, თებერვალში განახლდება. მანამდე შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მოეწყობა.

რუსი ქალების მსგავსად, ასპროცენტიანი მაჩვენებლით მიიწევს წინ ლიგის ამჟამინდელი ჩემპიონი „ბარსელონა", ერთადერთი გუნდი, რომელმაც ჯგუფურ და მერვედფინალურ სტადიაზე რვავე თამაში მოიგო. სამწლიანი ჩავარდნის შემდეგ ევროელიტაში ტრიუმფით დაბრუნებული კატალონიური კლუბი 2005-06 წლების გათამაშების უმთავრეს ფავორიტად ითვლება.

„ბარსა" მეოთხედფინალში ასევე ესპანურ „პორტლენდ სან ანტონიოს" დაუპირისპირდება, სხვა წყვილებში იბრძოლებენ „სიუდად რეალი" (ესპანეთი) — „პივოვარნა ლაშკო" (სლოვენია), „კილი" (გერმანია) — „ფლენსბურგ ჰანდევიტი" (გერმანია), „მონპელიე" (საფრანგეთი) — „ვესპრემი" (უნგრეთი).

**გია ახალაძე**



### ინგლისი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

ბირმინგემი 1:3 მანჩესტერი

უიგანი 2:0 ბოლტონი

**LDV VANS TROPHY**
**III ეტაპი**

ჩელტენემი 2:1 ოქსფორდი

ჰერეფორდი 2:0 სკანთორპი

კიდერმინსტერი 2:1 ბრედფორდი

დონსი 1:2 კოლჩესტერი

ტრანმერი 0:0დ.დ.(პენ. 10:11) კარლაილი

უოლსოლი 3:2 უიკომბი

### გერმანია

**თასის მერვედფინალი**

არმინია 2:0 უნტერჰახინგი

ფრაიბურგი 1:3დ.დ.(1:1) მიუნხენი

კაიზერსლაუტერნი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 1:1) მაინცი

### საფრანგეთი

**ლიგის თასი**
**1/8 ფინალი**

გენგამი 2:0 კაენი

ნიცა 2:0 სედანი

ბორდო 3:1 ნანტი

### შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

დანდი იუნ. 2:1 დანფერმლაინი

### ჰოლანდია

**თასის**
**მერვედფინალი**

ჰერენვენი 2:0 ვენლო

ჰელმონდი 2:1 იონგ აიაქსი

მაასტრიხტი 3:1 ტილბურგი

პსვ 3:0 ტვენტე

### იტალია

**სერია B. XXI ტური**

ალბინოლეფე 2:2 კატანია

აველინო 1:1 ტერნანა

ბრეშა 2:0 კროტონე

კატანძარო 0:2 ბოლონია

კრემონეზე 0:1 ტორინო

მოდენა 2:2 ატალანტა

რიმინი 1:0 ვიჩენცა

ტრიესტინა 0:0 ბარი

ვერონა 1:1 ჩეზენა

### პორტუგალია

**სუპერლიგა. XVI ტური**

სპორტინგი — რიუ ავე

*გვიან დამთავრდა*

### ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი**
**XVII ტური**

ბარსელონა 2:0 სელტა

**სეგუნდადივიზიონი**
**XVIII ტური**

რეალი B 0:0 ლეიდა

ტენერიფე 1:2 ფეროლი

### თურქეთი

**თასის II ეტაპი**

მალათია 1:1 გალათასარაი

ქაისერი 2:3 დენიზლი




AFP ჯექსონვილიდან



# ბურთაობის თახთახი

ჯექსონვილში დიდი ბურთაობაა. იქაური იაგუარები ფრისკოელ 49-ელებს ამარცხებენ. შესვენებაზე კი საშობაო ჩირლიდერობაა გახურებული და კოხტა გოგოებს ღიპიანი, სიცივის არმცნობი ზონზროხები ენაცვლებიან.




AFP ჯექსონვილიდან

# ლეოს სხვა მინდორი

ლეო მესი „კამპ ნოუზე“ ხომ მაგარია და მაგარი და ბარსელონას განთქმულ აკვარიუმშიც ჩაუყვინთავს სანტა კლაუსის ქუდით. კატალონელთა აკვარიუმს ათი წელი შესრულებია და „ბარსას“ ფორვარდსაც მიულოცია.




AFP ბარსელონიდან

# სამეფო ოხუნჯობა

ესპანეთში წლის სპორტული ჯილდოები გაიცა. იქ იყვნენ მეფე ხუან კარლოსი, დედოფალი სოფია და იყო ტკბილი ოხუნჯობა პრინც ფელიპეს, რაფაელ ნადალსა და რაფაელ მარტინეს ბარენას შორის.



AFP მადრიდიდან




AFP კალკუტიდან

# ღმერთმა უშველოს განგულის

ინდო ბრაჰმანი თავის რიტუალს ატარებს, მიზეზი კი ერთია: მთელ ერს სურს, შრი ლანკასთან მესამე და გადამწყვეტი საკრიკეტო ტესტის წინ ნაკრებს დაუბრუნდეს მისი კაპიტანი საურავ განგული. განგულის ნაკრებიდან მოკვეთა გასულ თვეს ქვეყნის პარლამენტმაც კი განიხილა. მიზეზისა კი, აბა რა გითხრათ?

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00